ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 238 (19380) ◆ ოთხშაბათი, 16 ოქტომბერი, 1985 წელი ◆ ფასი 8 კაპ.

გუშინ მოსკოვში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1985 წლის 15 ოქტომბერს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტი.

სკკპ წესდების ცვლილებანი.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტი.

პლენუმზე ამ საკითხთა გამო მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა. მოხსენების ტექსტი პრესაში ქვეყნდება.

მოხსენების გამო გამართულ კამათში პლენუმზე გამოვიდნენ: ამხანაგები ა. ა. ტიტარენკო — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, რ. თ. დემენტიევა — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, ი. თ. სოლოვიოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. გ. აფანასიევი — გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი, ს. ი. მანიაკინი — სკკპ ომსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, მ. ს. შკაბარდნია — ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა მინისტრი, ა. მ. კოროლიოვი — ურალის ს. ორჯონიკიძის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის ხარატი, ვ. პ. დემიდენკო — ყაზახეთის კომპარტიის კუსტანაის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, კ. ს. დემირჩიანი — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა მის განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტები და გადაწყვიტა გამოაქვეყნოს ისინი განხილვისათვის პარტიულ კრებებზე, კონფერენციებსა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე, რომლებიც წინ უძღვის სკკპ XXVII ყრილობას, ხოლო სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტი — აგრეთვე შრომითს კოლექტივებში, სასწავლებლებში, ჯარის ნაწილებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გამართულ კრებებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განიხილეს ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა ამხ. ნ. ვ. ტალიზინი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. ნ. ი. რიჟკოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნასთან დაკავშირებით. მილებულია გადაწყვეტილება, განთავისუფლდეს ამხ. ნ. ა. ტიხონოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის მოვალეობისაგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაამთავრა მუშაობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების ცვლილებების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტების შესახებ

განიხილა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების ცვლილებების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტები, ამ საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის კომისიის მიერ მომზადებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტი.

2. მოწონებულ იქნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების ცვლილებების პროექტი.

3. მოწონებულ იქნეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტი.

4. პრესაში გამოქვეყნდეს ეს დოკუმენტები პარტიაში, შრომითს კოლექტივებში, ქვეყნის მოსახლეობის უფართოეს ფენებში განსახილველად.

5. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა მოაწყონ აღნიშნული დოკუმენტების განხილვა პარტიულ კრებებზე, კონფერენციებსა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე, რომლებიც წინ უძღვიან სკკპ XXVII ყრილობას, ხოლო სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტისა — აგრეთვე კრებებზე შრომითს კოლექტივებში, სასწავლებლებში, სამხედრო ნაწილებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

6. სკკპ ცენტრალური კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, საბჭოთა კავშირის კომპარტიის წესდების ცვლილებების და ძირითად მიმართულებათა პროექტების განხილვის, პროპაგანდისა და განმარტებისათვის მუშაობას საქმიანი, კონსტრუქციული ხასიათი უნდა ჰქონდეს, მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს შრომითი კოლექტივების მიმდინარე და პერსპექტიული კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას. ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს ისეთი საკითხები, როგორიცაა წარმოების ინტენსიფიკაცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერება, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცება ყველა უბანზე და მუშაობის სტილის სრულყოფა. ყრილობისწინა დოკუმენტების განხილვაში საჭიროა უზრუნველვყოთ კომუნისტებისა და უპარტიოების აქტიური, დაინტერესებული მონაწილეობა. მივაღწიოთ იმას, რომ ყოველმა საბჭოთა ადამიანმა კარგად იცოდეს პარტიის საპროგრამო მიზნები და ამოცანები, ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკის აზრი, ღრმად ესმოდეს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არსებითი დაჩქარების ობიექტური საჭიროება, რაც ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცების, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის მისი წარმატებული ბრძოლის საფუძველია.

◆ ◆

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების ცვლილებების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვა მოეწყობა მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, ხელს შეუწყობს ყრილობისათვის პარტიისა და მთელი ხალხის გამოცდილებით გამდიდრებული მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებების შემუშავებას, კიდევ უფრო განავითარებს მშრომელთა შემოქმედებითს ინიციატივასა და აქტიურობას 1985 წლის სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის, მეთორმეტე ხუთწლედის ენერგიული დაწყებისა და სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება

ამხანაგებო!

ჩვენ უნდა განვიხილოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების, აგრეთვე სკკპ წესდების ცვლილებების პროექტი.

ეს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტებია. აქ საქმე ეხება ჩვენს საპროგრამო მიზნებს, პარტიის გენერალური კურსის, მისი ეკონომიკური სტრატეგიის საკვანძო საკითხებს, მასებში მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს ისტორიის თანამედროვე, უაღრესად რთულ და პასუხსაგებ მონაკვეთში, რომელსაც მრავალი თვალსაზრისით — როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო თვალსაზრისით — გარდატეხის ხასიათი აქვს.

როგორც მოგეხსენებათ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა, შემდეგ კი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხებისადმი მიძღვნილმა თათბირმა საგულდაგულოდ გააანალიზეს შექმნილი ვითარება, წამოაყენეს და დაასაბუთეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების და ამ საფუძველზე საბჭოთა საზოგადოების ახალი თვისებრივი მდგომარეობის მიღწევის ვრცელი კონცეფცია. ეს არის საქმის თავიდათავი, ეს არის მთელი ჩვენი პრობლემების არსი.

დაჩქარების კონცეფციას დღეს ჩვენი პარტია აყენებს ხალხის წინაშე, ამ კონცეფციით ეგებება იგი მორიგ, XXVII ყრილობას. ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე პლენუმის განსახილველად წამოყენებული სამივე დოკუმენტის ღერძია. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებამ უნდა უზრუნველყოს საბჭოთა ადამიანების მატერიალურად და სულიერად მდიდარი, სოციალურად დინამიკური ცხოვრება მშვიდობის პირობებში, კიდევ უფრო სრულად და ნათლად გამოავლინოს სოციალისტური წყობილებით განსახიერებული ისტორიულად ახალი ტიპის ცივილიზაციის შესაძლებლობანი და უპირატესობანი.

უწინარეს ყოვლისა შევეხები სკკპ პროგრამის ახალ რედაქციას, რომელიც XXVI ყრილობის დავალებით მომზადდა. ამ რედაქციაზე სერიოზული, გულმოდგინე მუშაობის პროცესში დგებოდა როგორც თეორიული, ისე პოლიტიკური ხასიათის არცთუ ადვილი საკითხები, რომლებიც უკავშირდება განვლილი გზის შედეგების გააზრებას, ქვეყნის შემდგომი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრას.

ბოლო მეოთხედი საუკუნის მანძილზე, და ჩვენ ამას ვხედავთ, ჩვენს ქვეყანაში ობიექტური ხასიათის სერიოზული ეკონომიკური და სოციალური ძვრები მოხდა. მათ მოითხოვეს ღრმა ანალიზი, მიმდინარე და გრძელვადიანი მიზნების დაზუსტება, მათი მიღწევის გზების დასახვა, ისევე როგორც ახალი მიდგომა პარტიის ორგანიზატორული, სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური საქმიანობისადმი. პროგრამაში დაზუსტებულ დებულებებს მოითხოვდა საერთაშორისო ვითარებაც. უნდა ჩამოგვეყალიბებინა ძალების განაწილებაში იმ ცვლილებების ახალი გაგება, რომლებიც ხდება როგორც კლასობრივი და სოციალური თვალსაზრისით, ისე მშვიდობის პრინციპის, როგორც სახელმწიფოთაშორისი, მთელი საერთაშორისო ურთიერთობის საყოველთაო ნორმის დამტკიცებისათვის ბრძოლასთან დაკავშირებითაც.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჭირო იყო არა მარტო გაკეთებულის, მიღწეულის შედეგების შეჯამება, არამედ ადამიანისათვის და ქვეყნად მშვიდობისათვის მოქმედების მკაფიო და დასაბუთებული პროგრამის შემუშავებაც.

რას მინდა ამასთან დაკავშირებით მივაპყრო თქვენი ყურადღება?

უწინარეს ყოვლისა სკკპ ფუძემდებელი თეორიული და პოლიტიკური დებულებების მემკვიდრეობითობას. ამას პრინციპულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ცხოვრებამ დაადასტურა პარტიის მესამე პროგრამის ძირითადი შინაარსის სისწორე. მას რომ ასრულებდა, ჩვენი ქვეყანა შორს წავიდა წინ კომუნისტური მშენებლობის ყველა მიმართულებით. მესამე პროგრამის ძირითადი თეორიული და პოლიტიკური დებულებები მის ახალ რედაქციაშიც შენარჩუნებულია.

პარტიის თეორიისა და საპროგრამო დებულებების განვითარებაში მემკვიდრეობითობის საკითხი ეს მისი თეორიული პრინციპულობისა და თანამიმდევრულობის, მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულების საკითხია. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში ასეთი დიდი ავტორიტეტი და საბჭოთა ხალხის ასეთი ნდობა არ ექნებოდა, ჯეროვანი პასუხისმგებლობით რომ არ მოჰკიდებოდა საკუთარ თეორიულ დასკვნებსა და „პოლიტიკურ შეფასებებს.

ამასთან თეორიაში თანამიმდევრულობა და მემკვიდრეობითობა უთუოდ გულისხმობს მის შემოქმედებითს განვითარებას, ისტორიული გამოცდილების შესაბამისად პრინციპული დებულებებით გამდიდრებას. ეს სავსებით ბუნებრივია. ახლა უკეთ, უფრო ზუსტად გვაქვს წარმოდგენილი სოციალიზმის სრულყოფის, ჩვენი საპროგრამო მიზნის — კომუნიზმის მიღწევის გზები. უეჭველია, ყოველივე ეს უნდა ასახულიყო და აისახა კიდეც პარტიის მთავარ თეორიულ და პოლიტიკურ დოკუმენტში.

გავამდიდრეთ და განვავითარეთ რა პროგრამის შინაარსი, ამავე დროს კრიტიკულად გადავსინჯეთ მისი ის ფორმულირებანი, რომლებმაც ვერ გაუძლეს დროის გამოცდას. ეს ჩვენი პარტიის ტრადიციებს შეესაბამება. როგორც ლენინი აღნიშნავდა, „ცალკეული მუხლებისა და ფორმულირებათა კრიტიკა ყოველ ცოცხალ პარტიაში სავსებით კანონიერი და აუცილებელი რამაა“.

მთელ ამ მუშაობაში ვხელმძღვანელობდით პარტიის პროგრამის აგების ლენინური პრინციპებით. იგი უნდა იყოს ნამდვილი პროცესის ზუსტი ფორმულირება, ზუსტად აყალიბებდეს ძირითად შეხედულებებს, პოლიტიკურ ამოცანებს, არ ახასიათებდეს არც ზედმეტი დეტალიზაცია, უნიადაგო ფანტაზია, არც მედავითნური პეტრობა და დეფინიციობანა. პროგრამა — ეს ცხადი და ზუსტი განცხადებაა იმისა, თუ რისთვის იღწვის და რისთვის იბრძვის პარტია.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი მთლიანად შეესაბამება ამ მოთხოვნებს. იგი ემყარება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ქვეყანაში და მსოფლიო ასპარეზზე მიმდინარე პროცესების რეალისტურ ანალიზს, იძლევა პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, მთელი ხალხის მუშაობის სტრატეგიულ მიმართულებათა მკაფიო და ვრცელ დახასიათებას. ამასთან ითვალისწინებს ქვეყნის განვითარების კომუნისტურ პერსპექტივას.

პარტიის მესამე პროგრამა თავისი ახლანდელი რედაქციით სოციალიზმის გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საფუძველზე კომუნიზმისაკენ საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის პროგრამაა. ეს არის მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის პროგრამა.

ჩვენ მტკიცედ ვადგავართ კომუნიზმის გზას, ვითვალისწინებთ, რომ ერთიანი კომუნისტური ფორმაციის ორ ფაზას შორის არ არის და არც შეიძლება იყოს მკვეთრი ზღვარი. არ შეიძლება, სოციალიზმის გვერდის ავლით, უშუალოდ კომუნიზმის უმაღლეს ფაზაზე გადასვლა, ისევე როგორც შეცდომა იქნება სოციალიზმი წარმოვიდგინოთ დამოუკიდებელ ფორმაციად. სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდა განისაზღვრება საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონებით. ყოველგვარი ცდა, გავიჭრათ წინ, კომუნისტური პრინციპები შემოვიღოთ საზოგადოების მატერიალური და სულიერი სიმწიფის დონის გაუთვალისწინებლად, როგორც გამოცდილება ცხადყოფს, განწირულია. მაგრამ დაუშვებელია აგრეთვე ზოზინი მომწიფებულ გარდაქმნათა განხორციელებაში, ახალ ამოცანათა გადაწყვეტაში.

პროგრამის ახალ რედაქციაში გამდიდრებულია სოციალიზმის, როგორც კაცობრიობის პროგრესში კაპიტალიზმზე აღმატებული საფეხურის, ისტორიული მიღწევებისა და უპირატესობების დახასიათება, გამოკვეთილია კონტურები ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ დარგში, სულიერ ცხოვრებაში, რომლებიც უნდა შეიძინოს ჩვენმა საზოგადოებამ პროგრამის განხორციელების შედეგად. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გზით საბჭოთა საზოგადოების თვისებრივად ახალი მდგომარეობის მიღწევა — ასეთია პარტიის თანამედროვე კურსის არსის გამომხატველი ფორმულა.

პროგრამა ითვალისწინებს საზოგადოების განვითარებაში ეკონომიკის გადამწყვეტ როლს. პარტიის ეკონომიკური სტრატეგია განსაზღვრულია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შემდგომი გაღრმავების საფუძველზე. იგი მიზნად ისახავს ნამდვილად ისტორიული მასშტაბის გარდაქმნებს—სახალხო მეურნეობის ახალ ტექნიკურ რეკონსტრუქციას, განვითარების ინტენსიურ რელსებზე მის გადაყვანას, საბჭოთა ეკონომიკის მიერ ორგანიზაციისა და ეფექტიანობის უმაღლესი დონის მიღწევას. და ეს ყველაფერი კეთდება ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის.

მნიშვნელოვნად მეტი ყურადღება ეთმობა სოციალურ სფეროს, ჩვენს პარტიას უნდა ჰქონდეს სოციალურად ძლიერი პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ადამიანის ცხოვრების ყველა სივრცეს — მისი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებით, ჯანმრთელობითა და დასვენებით დაწყებული და სოციალურ-კლასობრივი და ეროვნული ურთიერთობით დამთავრებული. სოციალური საკითხებისადმი, მეცნიერებისა და კულტურისადმი ყურადღების აუცილებლობას რომ ეხებოდა, ლენინი წერდა: „ეს იქნება უკეთესი პოლიტიკა, ეს იქნება მეურნეობის ყველაზე ეკონომიკური გაძღოლა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება რამდენიმე ასი მილიონის მომჭირნეობა გავწიოთ, მაგრამ შეიძლება იმდენი დავკარგოთ, რომ ვერავითარი მილიარდები ვეღარ აღადგენენ დაკარგულს“.

სწორედ ამ თვალსაზრისით არის განსაზღვრული პროექტში ჩვენი დამოკიდებულება სოციალური სფეროსადმი. პარტია სოციალურ პოლიტიკას მიიჩნევს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, მასების შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის გაძლიერების მძლავრ საშუალებად, საზოგადოების პოლიტიკური სტაბილურობის, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების, სოციალისტური ცხოვრების წესის დამკვიდრების დიდმნიშვნელოვან ფაქტორად.

ჩვენ პრინციპულ მნიშვნელობას ვანიჭებთ პროექტის დებულებებს საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის უფრო სრული განხორციელების შესახებ.

მინდა, ამხანაგებო, მთელი ძალით გავუსვა ხაზი: თუ ყოველმხრივ არ გავაფართოვეთ და არ გავაღრმავეთ სოციალისტური დემოკრატია, ანუ, თუ არ შევქმენით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხთა გადაწყვეტაში ყველა მშრომელის, მათი კოლექტივებისა და ორგანიზაციების ყოველდღიური, აქტიური და ქმედითი მონაწილეობის პირობები, წარმატებით ვერ ვივლით წინ. მასების ინიციატივა, ენერგია, ცოცხალი შემოქმედება, ახალი წყობილების შექმნის ამოცანებისადმი მათი შეგნებული, დაინტერესებული დამოკიდებულება — აი რა მიაჩნდა ლენინს სოციალიზმის ძალისა და სიცხოველის უმნიშვნელოვანეს წყაროდ.

ნამდვილი სახალხო ხელისუფლების განვითარება კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს დღეს, როცა ხელს ვკიდებთ წარმოების, კულტურის, მართვის სფეროში ურთულეს ამოცანათა გადაწყვეტას. ძვირფასია ყოველი რეალური ნაბიჯი საჯაროობის გაფართოების, ქვემოდან კონტროლის გაძლიერების, ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობაში დემოკრატიული საწყისების გაღრმავების გზაზე. ერთი სიტყვით, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ სოციალიზმის დემოკრატიული ბუნება, მისი საარსებო მოთხოვნილება — იკვებებოდეს მასების შემოქმედებით.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებასთან განუყრელად არის დაკავშირებული საპროგრამო დებულებები იდეოლოგიური მუშაობის დარგშიც. ადამიანები უნდა აღვზარდოთ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით, მართალი სიტყვითა და რეალური საქმით, ამასთან პოლიტიკური განათლება, იდეური ზეგავლენა გავაერთიანოთ ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში, სახელმწიფო, საწარმოო და საზოგადოებრივი საქმეების

(დასასრული მე-2 გვ.)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება

(დასასრული)

მართვაში მშრომელთა სულ უფრო მზარდ მონაწილეობასთან. მხოლოდ კარგად მოფიქრებული ეკონომიკური სტრატეგიით, ძლიერი სოციალური პოლიტიკითა და მიზანმიმართული იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობით, მათი განუყრელი ერთიანობით, შეიძლება გავააქტიუროთ ადამიანის ფაქტორი, ურომლისოდაც ვერ გადაწყდება ვერც ერთი დასახული ამოცანა. დღეს საკითხი სწორედ ასე დგას.

პროგრამის ახალ რედაქციაში საკმაოდ ზუსტად არის ასახული მსოფლიო განვითარების ძირითადი ტენდენციებიც. ეს არის რეალური სოციალიზმის პოზიციების შემდგომი განმტკიცება, მისი ავტორიტეტისა და გავლენის, სამართლიან საწყისებზე ცხოვრების განახლების მოსურნე ხალხის მასების როლის გაზრდა; ეს არის მსოფლიოში იმპერიალიზმის რეაქციული და აგრესიული ძალების მიერ პოზიტიური ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის გაძლიერება; ეს არის სოციალიზმის ქვეყნების, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის, ათობით ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ფართო ომისსაწინააღმდეგო დემოკრატიული მოძრაობების გამაერთიანებელი სამყაროს პოტენციალის განმტკიცება. სწორედ მათი ურთიერთმოქმედება განსაზღვრავს ჩვენს ეპოქაში მსოფლიო განვითარების საერთო მიმართულებას.

ჩვენ ყველანი ვხედავთ, რომ უდიდესი კაპიტალისტური სახელმწიფოების პოლიტიკაში ძალზე საშიში გადახრა შეინიშნება. დროის მსვლელობა, იმპერიალიზმის, განსაკუთრებით ამერიკის იმპერიალიზმის ტაქტიკური მოქმედება სულ უფრო თვალნათლივ წარმოაჩენს ამ პოლიტიკის არსს: სოციალიზმთან შედარებით სამხედრო უპირატესობის მიღწევის საფუძველზე სოციალური რევანში, პროგრესული, განმათავისუფლებელი მოძრაობების ძალით ჩახშობა, საერთაშორისო დაძაბულობის შენარჩუნება ისეთ დონეზე, რომელიც გაამართლებს მასობრივი მოსპობის სულ ახალ-ახალ სახეობათა იარაღის შექმნას და კოსმოსის მილიტარიზაციას.

ამის შედეგად საერთაშორისო განვითარება მიუახლოვდა ზღვარს, რომლის გადალახვა შეუძლებელია, თუ არ მივიღეთ უაღრესად პასუხსაგები გადაწყვეტილებანი იმ მიზნით, რომ შევაჩეროთ გამალებული შეიარაღება, ომისაკენ დაქანება. ამ გადაწყვეტილებების გადადება არ შეიძლება, თორემ კონტროლიდან გაგვისხლტება თავად კაცობრიობის არსებობისათვის საშიში პროცესები. მილიტარიზმისა და ომის ძალების ალაგმვა, მტკიცე მშვიდობისა და საიმედო უშიშროების უზრუნველყოფა თანამედროვეობის ძირითადი პრობლემაა.

საარსებოდ დიდმნიშვნელოვან პრობლემათა გადაჭრის ახალი გზების ძიება მსოფლიო ასპარეზზე მოქმედი სოციალური და პოლიტიკური ძალების უდიდესი მრავალფეროვნების პირობებში მოითხოვს რეალისტურად ვითვალისწინებდეთ მათ ინტერესებს, ზოგჯერ ერთმანეთს რომ ემთხვევა, ზოგჯერ უპირისპირდება კიდეც, რათა შევიმუშაოთ სწორი პოლიტიკური კურსი. ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს აზრით, პროგრამის ახალი რედაქცია ამის კარგ ორიენტირებს იძლევა.

იგი მთლიანად გამოხატავს ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრების, სოციალური პროგრესისა და ხალხების ეროვნული განთავისუფლების ჩვენეულ კონცეფციას, მასში ჩამოყალიბებულია პოლიტიკის ფუნდამენტური საძირკველი, მე ვიტყოდი, მისი მთავარი საყრდენი, რომელიც კვლავ ურყევია. ამასთან პროგრამა ცხადყოფს საერთაშორისო საქმეებისადმი ჩვენი პარტიის ფართო მიდგომას, მის უნარს დროულად ითვალისწინებდეს ვითარების ცვლილებას, აუკვიატებლად უსწორებდეს თვალს რეალობას, ობიექტურად აფასებდეს მიმდინარე ამბებს, მოქნილად რეაგირებდეს მომენტის მოთხოვნებზე.

ჩვენ საჯაროდ ვლაპარაკობთ ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის მიზნებზე, მათი მიღწევის გზებზე. ამ თვალსაზრისით ჩვენი პოლიტიკის განჭვრეტა სავსებით შესაძლებელია, იგი არ შეიცავს გამოცანებსა და გაურკვევლობას. ეს არის ორი საპირისპირო სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ იდეაზე დამყარებული პოლიტიკა. ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმით, რომ მხოლოდ სტაბილური და საიმედო პოლიტიკა შეეფერება სახელმწიფოებსა და პარტიებს, რომლებსაც შეგნებული აქვთ მსოფლიოს ბედისათვის თავიანთი პასუხისმგებლობა წინააღმდეგობებით აღსავსე ჩვენს საუკუნეში.

პროგრესული ძალები დარწმუნდებიან, რომ პროგრამა გამოხატავს ჩვენს უცვლელ სოლიდარობას მათი ბრძოლისადმი, ჩვენს პატივისცემას მათი შეხედულებებისა და პოზიციებისადმი, ჩვენს მისწრაფებას ხელი შევუწყოთ მათი ერთიანობის — მრავალფეროვნების იმ დიალექტიკური ერთიანობის განმტკიცებას, რომელიც მოიცავს რეალური სოციალისტური სამყაროს, მუშათა და კომუნისტური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ყველა იმ მოძრაობის მთელ ცოცხალ ქსოვილს, რომლებიც გამოდიან რეაქციისა და აგრესიის წინააღმდეგ, იღვწიან მშვიდობისა და პროგრესისათვის.

ახლა ძირითად მიმართულებათა პროექტის შესახებ. იგი მოწოდებულია თითქოს ხორცი შეასხას სკკპ პროგრამის დებულებებს, ამეტყველოს იგი კონკრეტულ საგეგმო დავალებათა ენაზე მისი რეალიზაციის ისეთი პასუხსაგები ეტაპის შესაბამისად, როგორიც არის მეთორმეტე ხუთწლედი და 2000 წლამდე პერიოდი.

დიდი მუშაობაა გაწეული, მაგრამ იგი ყოველთვის იოლი და გაუჭირვებელი როდი იყო. და არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენისთანა გიგანტური მასშტაბის ეკონომიკის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პერსპექტივების შემუშავება ფრიად რთული საქმეა, მეტადრე, როდესაც მის წინაშე თვისებრივად ახალი ამოცანები დგება. უნდა გაგვეთვალისწინებინა იმ ობიექტური ფაქტორების მთელი ერთობლიობა, რომლებიც გავლენას ახდენენ — თანაც, სხვადასხვაგვარად — სახალხო მეურნეობის ტემპზე, პროპორციებსა და ეფექტიანობაზე.

წავაწყდით სხვაგვარ პრობლემებსაც, რომლებიც იმით იყო გამოწვეული, რომ ჩვენს კადრებს ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ დაუძლევიათ ინერცია, მოძველებული სქემები, ვერ შელევიან მეურნეობის ექსტენსიური გაძღოლის მეთოდებს. ყველა როდი აღმოჩნდა ფსიქოლოგიურად მომზადებული ახლებურ პირობებში მუშაობისათვის, იმისათვის, რომ მეთორმეტე ხუთწლედში დასაბამი მისცენ ძირეულ შემობრუნებას ინტენსიურობისა და ხარისხისაკენ. ეს განწყობილება უნდა დაგვეძლია, თანაც, დაგვეძლია, რომ იტყვიან, მარშზე, როდესაც უკვე სრული სვლით მიმდინარეობდა მუშაობა ძირითად მიმართულებებზე. დიდი როლი შეასრულა აქ შრომითი კოლექტივების ჩაბმამ რეზერვების ძიებასა და ხუთწლედის დაძაბულ დავალებათა შემუშავებაში, აქტიურმა პოზიციამ, რომელსაც ადგნენ პარტიული ორგანიზაციები — რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ორგანიზაციებიდან პირველადს ორგანიზაციებამდე.

ამის შედეგად შევძელით ბევრი რამ გამოგვესწორებინა, და პროექტი, რომელსაც დღეს განვიხილავთ, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს აზრით, ძირითადად შეესაბამება პარტიის საპროგრამო მოთხოვნებს ეკონომიკური ზრდის დაჩქარების, ისეთი სტრატეგიული ამოცანების ერთდროული გადაწყვეტის შესახებ, როგორიც არის ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცება და ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების შენარჩუნება ჯეროვან დონეზე.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ახალ ხუთწლედში ეროვნული შემოსავლისა და მატერიალური წარმოების ყველა დარგის პროდუქციის მატებას პირველად მივიღებთ მთლიანად შრომის ნაყოფიერების მატების გზით. ხუთწლედისათვის დასახული მასალატევადობის საგრძნობი შემცირება შესაძლებლობას მოგვცემს ეკონომია გადავაქციოთ დამატებითი მატერიალურ რესურსებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების გადამწყვეტ წყაროდ.

წინანდელზე უფრო ენერგიულად განხორციელდება ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, კაპიტალური დაბანდების კონცენტრაცია სახალხო მეურნეობის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებზე. უწინარეს ყოვლისა, მთავარი ყურადღება ეთმობა მოქმედ საწარმოთა ტექნიკურ განახლებას და რეკონსტრუქციას. დაჩქარებულად განვითარდება მანქანათმშენებლობა, ქიმიური, ელექტრონული და ელექტროტექნიკური მრეწველობა, ფართოვდება უახლესი თაობების მანქანა-მოწყობილობის და მასალების გამოშვება და პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენება.

ერთი სიტყვით, მეთორმეტე ხუთწლედში დასაბამი ეძლევა საგრძნობ შემობრუნებას ეფექტიანობისაკენ. მაგრამ, იმისათვის, რომ ამ მხრივ ძირეული შემობრუნება განვახორციელოთ, არამც და არამც არ უნდა შევასუსტოთ ძალისხმევა. პირიქით, იგი უნდა ვზარდოთ. და აქ უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება დაგეგმვისა და მართვის, მეურნეობრიობის მეთოდების სრულყოფას, საქმის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, დისციპლინისა და პასუხისმგებლობის განმტკიცებას ყველა უბანზე, მასების შემოქმედებითი ინიციატივის ყოველმხრივ განვითარებას.

იმაზე, თუ რამდენად სწრაფად დავამთავრებთ ეფექტიანობისაკენ შემობრუნებას, განვახორციელებთ სახალხო მეურნეობის ახალ ტექნიკურ რეკონსტრუქციას, — დამოკიდებული იქნება მესამე ათწლეულისათვის დასახული მიჯნების მიღწევა. მომავალი თხუთმეტი წლის განმავლობაში გათვალისწინებული გვაქვს შევქმნათ ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც თავისი მასშტაბით დაახლოებით საბჭოთა ხელისუფლების მთელი წინა წლების მანძილზე შექმნილი პოტენციალის ტოლი იქნება, თითქმის ერთიორად გავზარდოთ ეროვნული შემოსავალი და სამრეწველო წარმოების მოცულობა, 2,3 — 2,5-ჯერ მოიმატებს შრომის ნაყოფიერება.

ეს შესაძლებლობას მოგვცემს გავაორკეცოთ იმ რესურსების მოცულობა, რომლებიც ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ხმარდება. ვფიქრობ, წარმოდგენილი დოკუმენტი ყველა საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ მისი სოციალური პროგრამის რეალიზაცია უახლოეს სამ ხუთწლედში თვისებრივად ახალ საფეხურზე აგვაყვანინებს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონეს.

როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პოლიტიკაში გადასაწყვეტი ამოცანების მასშტაბურობა, სიღრმე და სირთულე ახალ დიდ მოთხოვნებს უყენებს პარტიული ხელმძღვანელობის დონეს, გვიჩვენებს, რომ საჭიროა ახლებურად მივუდგეთ პარტიული მუშაობის ყველა მხარეს. ბუნებრივია, რომ ყოველივე ეს უნდა აისახოს სკკპ წესდებაში — პარტიის ძირითად კანონში, ჩვენი ცხოვრების პარტიულ კოდექსში.

რით გამოიხატება წესდებაში შემოთავაზებული ცვლილებების პრინციპული აზრი?

თუ მოკლედ ვიტყვით, ეს, ერთი მხრივ, გახლავთ შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი გაღრმავება, კომუნისტების, პარტიის ყველა ორგანიზაციისა და, უწინარეს ყოვლისა, პირველადი ორგანიზაციების ინიციატივისა და აქტიურობის განვითარება და, მეორე მხრივ, საერთო საქმეების გადაწყვეტისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერება. რაც უფრო მრავალფეროვანი და საინტერესოა შინაპარტიული ცხოვრება, რაც უფრო ღრმაა დემოკრატიზმი ყველა საკვანძო საკითხის გადაწყვეტაში — პარტიაში მიღებიდან საკადრო პოლიტიკამდე, მით უფრო ძლიერი და ეფექტიანია პარტიის ზემოქმედება ყველა საზოგადოებრივ პროცესზე.

წესდებაში ამავე კალაპოტით ზუსტდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპები. ყოველი მათგანი მოწოდებულია სრული მოცულობით ახორციელებდეს თავის ფუნქციებს, ხოლო მათი საქმიანობისადმი პარტიულ ხელმძღვანელობას მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკური ხასიათი უნდა ჰქონდეს, აქტიურად უწყობდეს ხელს ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის შემდგომ განვითარებას ყველა რგოლში და ყველა დონეზე. შემოთავაზებული ცვლილებები ემსახურება პარტიის წევრის ავტორიტეტის, წოდებისა და მნიშვნელობის გაზრდას, მისი, როგორც პოლიტიკური მებრძოლისა და მასების ორგანიზატორის როლის, პარტიის გენერალური გეზისა და დირექტივების განხორციელებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

მთლიანად, ცვლილებები, რომელთა შეტანაც ნავარაუდევია წესდებაში, შემატებენ მას ახალ მომენტებს ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად, ხელს შეუწყობენ პარტიის ორგანიზაციულ განმტკიცებას დემოკრატიული ცენტრალიზმის ნაცადი პრინციპებით, სკკპ ხელმძღვანელი როლის გაზრდას ქვეყნის წინაშე მდგომი ახალი ამოცანების წინაშე.

ამხანაგებო! გუშინ სხდომა გამართა საპროგრამო კომისიამ, რომელმაც წარმოგვიდგინა პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტი. ვფიქრობ, პლენუმზე პროექტის საქმიანი და ნაყოფიერი განხილვა გვექნება. ნათქვამი ასევე ეხება ძირითად მიმართულებათა პროექტს და სკკპ წესდებაში შემოთავაზებულ ცვლილებებს.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიღება ცენტრალური კომიტეტის მიერ მოასწავებს სკკპ XXVII ყრილობის სამზადისის ფრიად პასუხსაგებ ეტაპს — ეკონომიკისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ხალხთან პარტიის დიდი და უშუალო ბჭობის ეტაპს.

პოლიტბიურო წინადადებას აყენებს გამოვაქვეყნოთ ეს დოკუმენტები და ფართოდ განვიხილოთ პარტიულ კრებებზე, რაიონულ, საქალაქო, საოლქო და სამხარეო კონფერენციებზე, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე, ხოლო ძირითად მიმართულებათა პროექტის შესახებ ვიმსჯელოთ აგრეთვე შრომით კოლექტივებში, სასწავლებლებში, ჯარის ნაწილებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გამართულ კრებებზე. თავიანთი სიტყვა უნდა თქვან საბჭოებმა, პროფკავშირებმა და კომკავშირმა. მილიონობით საბჭოთა ადამიანის — კომუნისტებისა და უპარტიოების — მონაწილეობა საერთო-პარტიულ, საერთო-სახალხო განხილვაში შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ დავაზუსტოთ პარტიის სამერმისო კურსი, უფრო სრულად გავითვალისწინოთ ყველა კლასის, ხალხის ყველა ფენის ინტერესები და მოთხოვნილებანი.

ყველაზე მთავარი, რაც ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ განხილვის პროცესში, — ეს არის საქმიანი მიდგომა და მიზანსწრაფვა კონკრეტული პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად. უნდა ვიღვაწოთ, რომ კრებები და დისკუსიები მიმდინარეობდეს შინაარსიანად, არ იყოს პარადულობა, აურზაური და ორგანიზაციული გადამლაშება. ამ ღონისძიებებში უთუოდ უნდა მიიღონ ყველაზე აქტიური და უშუალო მონაწილეობა ხელმძღვანელმა პარტიულმა, სახელმწიფო და სამეურნეო კადრებმა.

საყრილობო დოკუმენტების შესწავლისა და ახსნა-განმარტების მთელი მუშაობის ცენტრი უნდა გახდეს მშრომელი კოლექტივი, მისი პირველადი რგოლები — უბანი და ბრიგადა, ფერმა და ლაბორატორია. აქ უნდა გაჩაღდეს საგნობრივი სჯა-ბაასი ჩვენი საქმეების, უდიდესი რეზერვების ამოქმედების, რესურსების ეკონომიკური გამოყენების, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, მოწინავე გამოცდილების გავრცელების შესახებ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველ საბჭოთა ადამიანს კარგად ესმოდეს პარტიის საპროგრამო მიზნები და ამოცანები, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის აზრი, მარჯვედ უკავშირებდეს მათ თავის ყოველდღიურ მუშაობას.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავიდანვე აღმშენებლობით-შემოქმედებითი ხასიათი უნდა მივანიჭოთ განხილვას. მშრომელები განუყოფლად უჭერენ მხარს ცენტრალური კომიტეტის გეზს, რომელიც მიზნად გვისახავს ნოვატორულად ვუდგებოდეთ ჩვენი განვითარების საარსებო ამოცანებს, მტკიცედ ვძლევდეთ ყოველივე იმას, რასაც ყავლი გაუვიდა, რაც ხელს გვიშლის წინსვლაში. ჩვენ კვლავაც თანამიმდევრულად გავატარებთ ამ გეზს და დავეყრდნობით მთელი ხალხის ნებასა და შემოქმედებას.

უეჭველია, რომ საყრილობო დოკუმენტები გამოიწვევს გამოხმაურებების, წინადადებების, წერილების მოზღვავებას. დიდი სახელმწიფოებრივი ყაიდის მოსაზრებებთან ერთად დაისმის კონკრეტული საკითხებიც, გამოითქმის შენიშვნები პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების მუშაობის გამო. არც ერთი სასარგებლო აზრი, არც ერთი წინადადება არ უნდა დაგვრჩეს უყურადღებოდ. მთავარია, დოკუმენტების განხილვის დროს მშრომელებმა იცოდნენ, რომ მათი კრიტიკული სიგნალები ყურად იღეს, რომ მათს წინადადებათა გამო იღებენ შესაბამის ღონისძიებებს. ეს ჩვენთვის პრინციპული საკითხია.

კარგი იქნება, გამოვიყენოთ ძირითად მიმართულებებზე მუშაობის გამოცდილება და მათს განხილვასთან ერთად გავაჩაღოთ ხუთწლიანი გეგმის შემუშავება. ეს შესაძლებლობას მოგვცემს განვიხილოთ და დავამტკიცოთ იგი ყრილობის დამთავრებიდან ცოტა ხნის შემდეგ.

საყრილობო სამზადისის დამთავრებელი ეტაპი მაღალ მოთხოვნებს უყენებს მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებს. ისინი უნდა გადაიქცნენ სჯა-ბაასის საყოველთაო-სახალხო ტრიბუნად, თავი მოუყარონ მასების იდეებს, მოსაზრებებს, გამოცდილებას, ჩამოაყალიბონ ის მაღალი შრომითი და იდეურ-ზნეობრივი განწყობილება, ურომლისოდაც წარმოუდგენელია რაიმე გეგმების რეალიზაცია.

ამხანაგებო! რაოდენ შთამაგონებელიც უნდა იყოს შემუშავებული გეგმები, დასახული მიჯნების მიღწევას შევძლებთ მხოლოდ დაძაბული, უაღრესად ნაყოფიერი შრომით. ახლა ყოველ საბჭოთა ადამიანს, თითოეულ მშრომელ კოლექტივს, ყოველ პარტიულ ორგანიზაციას განსაკუთრებით მართებთ კონკრეტული საქმეები. დადგა დრო კიდევ უფრო აქტიურად ვიმოქმედოთ, და დღეს ეს მთავარია. პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან გამოიყენონ მთელი ჩვენი პოტენციალი, მთელი ჩვენი რესურსები და შესაძლებლობანი და, უწინარეს ყოვლისა, ადამიანისმიერი ფაქტორი ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების თანამიმდევრული შესრულებისათვის.

ჩვენ ასეთ მუშაობას შევუდექით. მიღებულია დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, ფართო ღონისძიებანი ხორციელდება ეკონომიკურ, სოციალურ და იდეოლოგიურ სფეროებში. საჭიროა კვლავაც ვიმოქმედოთ შემუშავებული პოლიტიკური გეზის სულისკვეთებით, განუხრელად ვიაროთ დასახული კურსით. მთავარია, განვამტკიცოთ დისციპლინა და წესრიგი ყველაფერში, აქტიურად გამოვიყენოთ მორალური და მატერიალური სტიმულები, სულ უფრო მეტი ასპარეზი მივცეთ მასების შემოქმედებას, ინიციატივას და კვლავაც ვზარდოთ წინსვლის ტემპი.

მთელი ორგანიზატორული, პოლიტიკური და სამეურნეო ძალისხმევა, მშრომელი კოლექტივების მთელი ენერგია უნდა მოვახმაროთ იმას, რომ საუკეთესო შედეგებით დავამთავროთ მიმდინარე წელიც და მთლიანად ხუთწლედიც, ღირსეულად შევხვდეთ ჩვენი ლენინური პარტიის XXVII ყრილობას. ახლა ეს ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა — პრაქტიკულიც და პოლიტიკურიც.

ისტორიული გამოცდილება დამაჯერებლად მოწმობს: ყველაზე ამაღლებული ოცნება ხალხის ბედნიერებაზე, გენიოსსაც რომ ეკუთვნოდეს, მხოლოდ და მხოლოდ კეთილშობილურ ოცნებად დარჩება, თუ არ დაეუფლა მილიონთა გულსა და გონებას. ხალხის მასების კუთვნილებად ქცეული მოწინავე იდეები პროგრესის მძლავრ მამოძრავებელ ძალად იქცევა ხოლმე.

ლენინური პარტიის პოლიტიკა, მისი გონება და სინდისი სწორად გამოხატავენ იმას, რაც შეგნებული აქვს ხალხს, სწორად გამოხატავენ მის აზრებს და მის ზრახვებს, მისწრაფებებსა და იდეალებს. და ჩვენ გვწამს, რომ კომუნიზმის დიადი საქმე, რომლისთვისაც მთელი არსებით იღვწის პარტია, უძლეველია.

(დამსწრეთ მოხსენება დიდი ყურადღებით მოისმინეს და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

კომუნისტთა აქტიურობისა და პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში გრძელდება ანგარიშგება-არჩევნების კამპანია. მთავრდება პარტიული ჯგუფებისა და საამქრო-ორგანიზაციების კრებები. მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები პირველადს პარტორგანიზაციებში. გაჩაღებულია მზადება რაიონული, საქალაქო, საოლქო პარტიული კონფერენციების, რესპუბლიკისა და ქვეყნის კომუნისტთა უმაღლესი ფორუმებისათვის.

ემზადება რა თავისი პარტკონფერენციისათვის, პარტიის ლენტეხის რაიონული კომიტეტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად ეწევა საჭირო ორგანიზატორულ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მუშაობას. ჯერ კიდევ მიმდინარე წლის აპრილში შეიქმნა საანგარიშო-საარჩევნო კრებების, რაიონული პარტიული კონფერენციისათვის მზადების სამუშაო ჯგუფი, მოეწყო პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებისა და მიმაგრებული ამხანაგების საინსტრუქტაჟო თათბირი ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის მზადებისა და ორგანიზაციის კონკრეტულ საკითხებზე.

პარტჯგუფებსა და საამქრო-ორგანიზაციებში გამართული კრებების შედეგები ცხადყოფს, რომ მათ ჩაიარეს საქმიანი მიდგომის, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის, კომუნისტთა ურთიერთმომთხოვნელობის ატმოსფეროში. კრებებს დაესწრო კომუნისტთა 98,2 პროცენტი. პარტჯგუფებში გამართული კამათის დროს გამოვიდა თითქმის ყველა კომუნისტი, ხოლო საამქრო პარტორგანიზაციებში—პარტიის წევრთა 62 პროცენტზე მეტი. წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პარტჯგუფორგებისა და საამქრო პარტორგანიზაციების მდივნების თვისებრივი შემადგენლობა.

ორგანიზებულად დაიწყო საანგარიშო-საარჩევნო კრებები პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში. პარტიის რაიკომი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმას, რომ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს სათავეში ჩაუდგნენ პოლიტიკურად მომწიფებული, კომპეტენტური და ინიციატივიანი კომუნისტები, რომლებსაც აქვთ ორგანიზატორული ნიჭი, საუცხოო ზნეობრივი თვისებები.

ამასთანავე იყო გარკვეული ნაკლოვანებანი კრებების მომზადებისა და მოწყობის საქმეში. მთელ რიგ ორგანიზაციებში გამართულ კრებებზე ჯეროვანი ყურადღება არ დაეთმო საკითხებს, რომლებიც ეხება შრომითი კოლექტივებში საწარმოო შემართების ატმოსფეროს დამკვიდრებას, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში პარტიულ ორგანიზაციათა ძალისხმევის გააქტიურებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა პარტიის ლენტეხის რაიკომის პირველი მდივნის ა. ტოტოჩავას ინფორმაცია რაიონული პარტიული კონფერენციისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით გარკვეული დადებითი მუშაობაა გაწეული. მიღებული დადგენილებით ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის ლენტეხის რაიკომს დაავალა უზრუნველყოს პარტიული კონფერენციის მოწყობა საქმიან, დიდი პრინციპულობის, პირუთვნელი კრიტიკისა და თვითკრიტიკის, კომუნისტთა ურთიერთმომთხოვნელობის ატმოსფეროში, ისეთ ვითარებაში, რომელიც მთლიანად გამორიცხავს ფორმალიზმსა და პარადულობას.

კონფერენციაზე ღრმად, ყოველმხრივ უნდა განიხილონ, თუ რა მუშაობა წარმოებს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ რეგიონის წინაშე მდგომი კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტას. პირველადს პარტორგანიზაციათა ძალისხმევა უნდა მოხმარდეს 1985 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას. მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების რეალიზაციისათვის დროულ და ხარისხოვან მზადებას.

უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს წარმოების ყოველმხრივ ინტენსიფიკაციას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ფართო დანერგვის, მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის საფუძველზე. უფრო გულდასმით უნდა იქნეს გაანალიზებული შრომითი კოლექტივების, განსაკუთრებით იმ საწარმოების საქმიანობა, რომლებიც სისტემატურად ვერ ასრულებენ საგეგმო დავალებებს, ამასთან ძირითადი ყურადღება უნდა მიეპყროს არა მიზეზების ძიებას, არამედ მთელი არსებული რეზერვების გამოვლენასა და მაქსიმალურ გამოყენებას მუშაობის ეფექტიანობის გადიდებისათვის.

პარტიის რაიკომმა ყურადღებით უნდა განიხილოს იდეოლოგიური მუშაობის პრობლემები, იმსჯელოს, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის დებულებანი, მითითებანი, რომლებიც ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა წამოაყენა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმასთან დაკავშირებული საკითხები.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა გულდასმით იქნეს განხილული კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის, გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებისა და კონტროლის პრაქტიკა. კონფერენციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შეიმუშაონ გადაწყვეტილება, რომელიც საპროგრამო დოკუმენტი გახდება მთელი მომდევნო პერიოდისათვის. (საქინფორმი).

უფრო სწრაფად განვავითაროთ ჩარხმშენებლობა

ПРАВДА

გაზეთ „პრავდის" 15 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა მოწინავე სტატია **„უფრო სწრაფად განვავითაროთ ჩარხმშენებლობა"**, რომელშიც აღნიშნულია, რომ მანქანათმშენებლობის შემდგომ განვითარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი სახალხო მეურნეობის წინსვლის საქმეში, რომ „მანქანათმშენებლებს სჭირდებათ რაც შეიძლება მცირე მასალატევადობის მქონე, გამძლე საიმედო ჩარხები და ინსტრუმენტები, ჯერჯერობით კი მრავალი შრომის იარაღის ხარისხი და საიმედოობა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. მაგალითად, შარშან სსრ კავშირის სახსტანდარტმა სანქციები გამოიყენა ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტროს ათობით საწარმოს მიმართ იმის გამო, რომ მათ გამოუშვეს პროდუქცია, რომელიც არ შეესაბამებოდა სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნებს. **მომხმარებლები ბევრ პრეტენზიას აცხადებენ ჩარხსაშენებელი ქარხნების** — სტერლიტამაკის ლენინის სახელობის და ვილნიუსის „კომუნარასის", **თბილისის გაერთიანება „ჩარხმშენებლის"** და ივანო-ფრანკოვსკის გაერთიანება „კარპატწნეხმანქანის", უსმანის სამსხმელო მოწყობილობისა და ლუდინოვოს საგრეგატო ქარხნების პროდუქციის ხარისხისადმი".

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის" გენერალურ დირექტორს **გურამ ჯიქიძეს** და სთხოვა გამოეთქვა აზრი ამ კრიტიკული შენიშვნის გამო.

— გაზეთ „პრავდაში" სამართლიანად გაგვაკრიტიკეს, — თქვა მან. გაერთიანებაში დამზადებულ ჩარხებზე ზოგიერთი მომხმარებელი ჯერჯერობით კვლავ გამოთქვამს პრეტენზიას და უკმაყოფილებას. გაერთიანებაში ამჟამად მრავალი ღონისძიება ხორციელდება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, თითოეულ სამუშაო უბანზე განმტკიცდა საწარმოო და შრომითი დისციპლინა, ასევე გაძლიერდა კონტროლი დამზადებული დეტალებისა და ჩარხების მიმართ, რაც გამორიცხავს წუნიანი პროდუქციის სარეალიზაციოდ გაგზავნას. გარდა ამისა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერებისა და ჩვენი საკონსტრუქტორო ბიუროს სპეციალისტების თანამშრომლობით უკვე მზად არის პერსპექტიული პროგრამული მართვის სახარატო დანადგარების პროექტი და 1986 წლისათვის საცდელი ნიმუში გვექნება. მომავალი წლიდან დავამზადებთ ახალი სახეობის ჩარხს. წლეულს ამოქმედდება მოქნილი ავტომატიზებული მოდულის პირველი კომპლექსი, გარდა ამისა, დაინერგა 12 ახალი სახეობის ტექნოლოგიური პროცესი, დაიდგა 52 ახალი მანქანა-დანადგარი, რაც მომავალში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს გაერთიანების ჩარხების ხარისხს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ნიკოლოზ ვლადიმერის ძე **ტალიზინი** დანიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ.

• • •

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე **ბაიბაკოვი** გაათავისუფლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

• • •

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ნიკოლოზ ვლადიმერის ძე **ტალიზინი** გაათავისუფლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საოქტომბრო ვახტზე

თბილისის საშენ მასალათა კომბინატის მშრომლები საოქტომბრო შრომით ვახტზე წარმატებებს აღწევენ. შეჯიბრებაში დაწინაურდნენ პლასტმასის საამქროს მშრომელები, რომლებიც ყოველდღიურ გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. აღსანიშნავია საამქროს ჩამომსხმელთა ბრიგადის ნაყოფიერი საქმიანობა ინჟინერ-ტექნოლოგის თინა ჯებაშვილის ხელმძღვანელობით. ბრიგადა საგეგმო დავალებებს 110—115 პროცენტით ასრულებს. ბრიგადის წევრებს შორის მოწინავეობს მედეა კისიევი.

სურათზე: შრომით შეჯიბრებაში გამარჯვებული მედეა კისიევი.

ჯ. ლომაძის ფოტო.

შეხვედრა ამომრჩევლებთან

ბორჯომში გაიმართა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის მინისტრის ე. კ. პერვიშინის შეხვედრა შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებთან, რომლებმაც იგი აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად № 662 ბორჯომის საარჩევნო ოლქში.

მანამდე ე. კ. პერვიშინი ეწვია ასპინძისა და ადიგენის რაიონებს, შეხვდა აღორძინებული სოფლების ივერიისა და უტყისუბნის მცხოვრებლებს, გაეცნო საარჩევნო ოლქის ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმდინარეობას. ბორჯომში ე. კ. პერვიშინმა დაათვალიერა საფირმო მაღაზია „ორბიტა", გამოიკითხა, როგორია მოსახლეობის მოთხოვნილება კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოების მიერ გამოშვებულ საქონელზე.

შემდეგ ბორჯომის მინის ქარხანაში, სადაც თავი მოიყარეს № 662 საარჩევნო ოლქში შემავალი რაიონების შრომითმა კოლექტივებმა, გაიმართა შეხვედრა ე. კ. პერვიშინთან. შეხვედრის გახსნისას პარტიის ბორჯომის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. პ. პეტრიაშვილმა აღნიშნა დეპუტატის დიდი დამსახურება ჩვენი რესპუბლიკის, კერძოდ, ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ხაშურისა და ბორჯომის რაიონების მშრომელთა წინაშე მდგომი მრავალი პრობლემის გადაჭრაში.

შეხვედრაზე გამოსვლისას შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებმა ილაპარაკეს ამომრჩეველთა განაწესებზე, რომლებიც შესრულდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ე. კ. პერვიშინის დახმარებითა და ხელშეწყობით. კერძოდ, აღინიშნა, რომ საარჩევნო ოლქში შემავალი რაიონებისათვის გამოიყო უახლესი ტელეაპარატურა, საზომი ხელსაწყოები, სამედიცინო ტექნიკა, კავშირგაბმულობის საშუალებანი, რომლებსაც ამუშავებს და ამზადებს კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობა. დეპუტატის მოთხოვნით გამოიყო კაპიტალდაბანდებანი ბორჯომის მინის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის.

შეხვედრაზე გამოვიდა ე. კ. პერვიშინი, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მან ამომრჩევლებს მადლობა გადაუხადა გულითადი შეხვედრისათვის. დეპუტატმა ყურადღება მიაპყრო კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის მიღწევებსა და განვითარების პერსპექტივებს, დამსწრეთ გააცნო დარგის წინაშე მდგომი ამოცანები. როგორც მოგეხსენებათ, თქვა მან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის აპრილის პლენუმზე და პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ ამასწინანდელ თათბირზე დაისახა ჩვენი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი დაჩქარების გზა. მთავარი ყურადღება მიეპყრო მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ორგანიზაციული, ეკონომიკური, სოციალური ფაქტორების დარაზმვას, ყაირათიან მეურნეობრიობას.

ეკონომიკის ინტენსიფიკაცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, სოციალისტური მეურნეობრიობის ფორმებისა და მეთოდების სრული შეხამება ახლანდელ პირობებთან და მოთხოვნილებებთან, დისციპლინისა და წესრიგის უთუო განმტკიცება ყველგან — აი ის გზები, რომლებიც მიგვაღწევინებენ დასახულ მიზნებს. ყოველივე ამას შეეხო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, ტიუმენისა და ტომსკის ოლქების პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე და დნეპროპეტროვსკის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივთან შეხვედრაზე.

კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის საწარმოები ვადების მნიშვნელოვანი გასწრებით, სტაბილური გადაჭარბებით ასრულებენ შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და წარმოების მოცულობის გადიდების დავალებებს. ისინი სისტემატური გადაჭარბებით ასრულებენ მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვის სოციალისტურ ვალდებულებებს, დიდი რაოდენობით ითვისებენ ნაწარმს, ახალ ტექნიკას. შესამჩნევია წარმატებები მრავალი ამ საწარმოს სოციალურ განვითარებაში, რაც საფუძველს გვაძლევს ვიმედოვნებდეთ, რომ დარგი წარმატებით შეასრულებს ხუთწლედს და თავის წვლილს შეიტანს სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ საერთო-სახალხო მოძრაობაში.

სიამოვნებით აღვნიშნავ, თქვა შემდეგ დეპუტატმა, რომ ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლებისათვის პარტიის მიერ დასახული გეგმების შესრულებაში არსებითი წვლილი შეაქვთ საბჭოთა საქართველოს მშრომელებს. ახორციელებს რა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკამ შეძლო ბოლო ათწლეულში გაეორკეცებინა თავისი საერთო ეკონომიკური და ინდუსტრიული პოტენციალი. თითქმის ორჯერ გაფართოვდა კაპიტალური მშენებლობის მასშტაბი, ორ-სამჯერ და მეტად გაიზარდა სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების დამზადება. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მრავალი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის ზრდის ტემპის მიხედვით საქართველომ ქვეყანაში მოწინავე პოზიციებს მიაღწია.

ამ მნიშვნელოვანი წარმატებებით სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ. ეკონომიკური ზრდის ყოველ პროცენტში, რომელიც განუწყვეტლივ მატულობს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კვალობაზე, ჩაქსოვილია საბჭოთა საქართველოს 80-იანი წლების მოქალაქეთა თავდადებული შემოქმედებითი შრომა.

ეს წარმატებები მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ისინი მიღწეულია უაღრესად რთულ პირობებში. ამ შეხვედრის ყოველ მონაწილეს ახსოვს, რა დიდი ზარალი მიაყენა საქართველოს სოფლის მეურნეობას 1982-1983 წლებში სტიქიურმა უბედურებამ და უამინდობამ, რა ძნელი იყო შეზღუდული მატერიალური რესურსების, რესპუბლიკაში განლაგებული საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებისათვის დავალებათა შემცირების პირობებში წარმოების განვითარების დაგეგმილი ტემპის, ხუთწლედის მიერ დასახული მიჯნების მიღწევა.

ორატორმა აღნიშნა, რომ წარმოების შინაგანი რეზერვების განუხრელი ძიებისა და გამოყენების, ადგილობრივი რესურსებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენების, ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების რაციონალური ხარჯვის, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ განვითარების მეოხებით მოხერხდა ამ ამოცანის გადაწყვეტა. ისევე როგორც მთლიანად რესპუბლიკამ, საქართველოს ყველა ქალაქმა და რაიონმაც, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა შრომითი კოლექტივების უმრავლესობამაც უზრუნველყვეს ხუთწლედის ოთხი წლისათვის დასახულ დავალებათა შესრულება ეკონომიკური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით. ყველა საჭირო წანამძღვარი აქვს მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა უთუო შესრულებას.

მსიამოვნებს, როცა ვხედავ, როგორ წლითიწლობით სულ უფრო ჰყვავის და მშვენდება ბორჯომის საარჩევნო ოლქი, რაოდენ დიდი ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნები ხდება აქ, ხაზი გაუსვა ორატორმა. ჩქარდება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტემპი, ფართოვდება საბინაო მშენებლობა, მწყობრში დგება საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ობიექტები, სავაჭრო ცენტრები, საზოგადოებრივი კვების საწარმოები. იხსნება ახალი სკოლები, მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები, შენდება ახალი სატრანსპორტო გზები, კავშირგაბმულობის ხაზები, იგება ხიდები, ახალ სიცოცხლეს იწყებენ ძველი სოფლები. ბორჯომმა უკვე კარგა ხანია მოიპოვა საკავშირო ჯანმრთელობის კერის დამსახურებული რეპუტაცია.

დასასრულ ე. კ. პერვიშინმა გამოთქვა რწმენა, რომ საქმით უპასუხებენ რა პარტიისა და მთავრობის ზრუნვას, საარჩევნო ოლქში შემავალი რაიონების სამრეწველო საწარმოები, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მუშაკები, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა მშრომელი, წარმატებით ასრულებენ პარტიული ყრილობებისა და პლენუმების გადაწყვეტილებებს, ღირსეულად შეხვდებიან სკკპ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას.

შეხვედრას დაესწრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. დ. მახარაშვილი. (საქინფორმი).

საბინაო მშენებლობას — უპირველესი ყურადღება

უთუოდ შევასრულოთ საწარმოო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის დავალებანი, მკაცრად დავიცვათ მათი რიტმული, საგეგმო ვადების შესაბამისი ამოქმედება — ასეთი მოთხოვნა წაუყენეს რესპუბლიკის მშენებლებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებული სხდომის მონაწილეებმა, რომელიც კაპიტალური მშენებლობის პრობლემებს მიეძღვნა. სხდომაზე შეაჯამეს იანვარ-სექტემბერში დარგის მშრომელთა მუშაობის შედეგები, გააანალიზეს საქმის ვითარება მშენებლობაში, დასახეს უახლოესი პერსპექტივის ამოცანები.

გაფართოებული სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლსკიმ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ა. ანდრონიკაშვილმა.

გაფართოებული სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

აღინიშნა, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრები დაისახა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მასშტაბის გაფართოებაში. კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების ათვისებისა და საერთო საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის მიღწეულმა ტემპმა შესაძლებელი გახადა ხუთი წლის გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულება და მათი გადაჭარბებაც კი საბინაო ფონდის მატებისა და რესპუბლიკის მცხოვრებთა ბინით უზრუნველყოფის მხრივ.

არცთუ ურიგო შედეგები ახასიათებს მიმდინარე წლის დამდეგიდან გასულ დროსაც. განვლილი წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში კაპიტალურ დაბანდებათა ათვისებული ლიმიტების მატებამ 16 პროცენტს მიაღწია, ხოლო ბინების საერთო ფართობის ამოქმედების მატებამ — 12 პროცენტს. ეს 83 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს შეადგენს.

მაგრამ, ხაზი გაუსვეს გაფართოებული სხდომის მონაწილეებმა, მიღწეული მიჯნები თვითდამშვიდების საფუძველს არ იძლევა. მშენებლობაში ჯერ კიდევ ბევრია გადასაჭრელი პრობლემა, სერიოზულ შეშფოთებას რომ იწვევენ. დარგის ზოგიერთ ხელმძღვანელს შესაბამისი დასკვნები არ გამოუტანია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „საბინაო მშენებლობის 1984 წლის სახელმწიფო გეგმების შესრულების შედეგებისა და პარტიის სოციალური პოლიტიკის მოთხოვნათა შესაბამისად საბინაო მშენებლობის ხუთი წლის პროგრამის რეალიზაციის ღონისძიებათა შესახებ“.

ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მიზეზები, რომლებიც გავლენას ახდენენ წლის განმავლობაში საცხოვრებელი სახლების ჩაბარების რიტმულობაზე, უაღრესად ცუდად მიმდინარეობს მუშაობა აუცილებელი სამომავლო მარაგნაკეთის შესაქმნელად. მაგალითად, პირველ კვარტალში ჩაბარებულია ბინების წლიური მოცულობის მხოლოდ 7 პროცენტი, მაშინ როცა ბოლო კვარტალში საექსპლოატაციოდ უნდა ჩაბარდეს 44 პროცენტზე მეტი. მდგომარეობას სერიოზულად ართულებს წლის პირველ ნახევარში აგებულ შენობათა მზადყოფნის დაბალი დონე, მუშახელის ნაკლებობა ნაგებობათა მოპირკეთების და კეთილმოწყობის სამუშაოთა დასამთავრებლად.

ბინების მშენებლობის ძირითად მოიჯარე ორგანიზაციაში — რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროში ჯერ კიდევ არ შექმნილა ამ პროცესის მართვის ორგანიზაციის ზუსტი სისტემა. მას სათანადო ყურადღებას არ უთმობს სამინისტროს ხელმძღვანელობა, მეტი მუყაითობა და შეუპოვრობა მოეთხოვება მინისტრის მოადგილეს ო. ა. ბიბილეიშვილს, რომელიც საბინაო მშენებლობას კურირებს.

ნაყოფიერ მუშაობას ვერ დაიკვეხნის მშენებლობის სამინისტროს საბინაო მშენებლობის მთავარი სამმართველო. აქ ნაკლებად მოჰკითხავენ ქვეგანაყოფთა ხელმძღვანელებს, რომლებიც საქმის ვითარებისათვის კონკრეტულად აგებენ პასუხს. ბევრ საერთო-სამშენებლო ტრესტში საბინაო მშენებლობის საკითხებს არცთუ ისე იშვიათად უკანა პლანზე აყენებენ. უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საქმისადმი ასეთი მიდგომის შედეგმაც არ დააყოვნა: ბინების მშენებელი 40 ორგანიზაციიდან 23-მა თავი ვერ გაართვა გეგმებს. ამის შედეგად სამინისტრომ ახალმოსახლეებს ვერ გადასცა დაახლოებით 40 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ბინები.

გაფართოებულ სხდომაზე მკაცრად გააკრიტიკეს იმ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომლებიც ვერ ასრულებენ არა მარტო ბინების, არამედ იმ ობიექტების ჩაბარების დავალებებსაც, დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა რომ აქვთ. ესენი არიან № 3 და № 20 ტრესტების მმართველები მ. გ. ანანიაშვილი და ა. ი. დახუნდარიძე. შორს არიან მუშაობის ოპტიმალური მაჩვენებლებისაგან № 6, № 11, № 14, № 17 ტრესტები, რომლებსაც ქ. ვ. შაკაია, ს. ა. გერგაული, პ. ი. დონღუზაშვილი, შ. გ. ფირცხალაიშვილი მართავენ, ბორჯომში დისლოცირებული № 83 მოძრავი მექანიზებული კოლონა (უფროსი რ. დ. ლურსმანაშვილი).

მთლიანად როდი იყენებენ საბინაო მშენებლობის სახელმწიფო გეგმების უზრუნველყოფაში მათთვის მინიჭებულ უფლებებს თვითონ შემკვეთებიც, მათ შორის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო (უფროსი ბ. ა. ზატუაშვილი).

სერიოზულად აფერხებენ მშენებლებს ტრანსპორტის მუშაკები. ბევრი პრეტენზია გამოითქმის რკინიგზის ტრანსპორტის (ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი ლ. გ. ვარდოსანიძე), ავტომობილისტების (დარგის მინისტრი თ. ნ. დავითაშვილი) მუშაობის მიმართ. სამშენებლო მოედნებზე მშენებლები ხშირად ცდებიან საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს (მინისტრი ნ. გ. ვაშაძე) კოლექტივების მიზეზით.

ერთიანი სამშენებლო კონვეიერის ცალკეული რგოლების სუსტმა ურთიერთკავშირმა განაპირობა რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებში ბინების მშენებლობის დავალებათა რეალიზაციაში შექმნილი დაძაბული მდგომარეობა. ორივე ავტონომიურ რესპუბლიკაში ბოლო ხანს შესამჩნევად იკლო მუშაობის ტემპმა. ამასთან აჭარაში კაპიტალდაბანდებათა ათვისება შემცირდა მესამე კვარტალში 8 პროცენტით — მეორე კვარტალთან შედარებით, ხოლო აფხაზეთში — 22 პროცენტით და მეტად. მნიშვნელოვანი ჩამორჩენა (შეიმჩნევა სამხრეთ ოსეთში, ქალაქებში ცხინვალში, რუსთავში, ჭიათურაში, ფოთში, ტყვარჩელში, ტყიბულში.

შექმნილი მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება და იგი უნდა გამოვასწოროთ, ხაზი გაუსვეს სხდომის მონაწილეებმა. საამისოდ საჭიროა ყველა არსებული რეზერვის გამოყენება. უმთავრესი მეცადინეობა უწინარეს ყოვლისა უნდა მოვახმაროთ კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების სრულ ათვისებას. იმ პირობებში, როცა სახელმწიფო სულ უფრო მეტ სახსრებს გამოყოფს საბინაო მშენებლობისათვის, რაციონალურად უნდა ვიყენებდეთ ყოველ მანეთს, ყოველ კაპიკს.

ბევრი საკითხია გადასაწყვეტი ადგილებზე საბინაო მშენებლობის ხელმძღვანელობაში. პარტიის ცალკეული საქალაქო, რაიონული კომიტეტები, სამშენებლო ქვეგანაყოფების პარტიული ორგანიზაციები ზოგჯერ ღრმად არ აანალიზებენ საქმის მდგომარეობას. ყველგან არ ახორციელებენ კონკრეტულ ღონისძიებებს არსებული შესაძლებლობების სრული გამოყენებისათვის, ჩამორჩენილ უბნებზე ორგანიზებული არ არის სამ ცვლად მუშაობა, ზოგან იგრძნობა მუშახელის მნიშვნელოვანი ნაკლებობა.

ბინების მშენებლობა პოლიტიკური საკითხია — იგი ადამიანების საარსებო მნიშვნელობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ეხება და ამიტომ ნიადაგ უნდა იყოს ხელმძღვანელთა თვალთახედვის არეში.

სწორედ ამიტომ, აღნიშნეს გაფართოებული სხდომის მონაწილეებმა, საჭიროა უფრო მიზანდასახულად, აქტიურად, კომპეტენტურად ვწყვეტდეთ საბინაო მშენებლობის საკითხებს ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებში. მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შექმნა რეგიონებში ბინების მშენებლობის ხელმძღვანელობის ოპერატიული სამუშაო ჯგუფები პარტიული კომიტეტების პირველი მდივნების ხელმძღვანელობით.

ნაკლოვანებებისადმი უფრო პრინციპული, შეურიგებელი პოზიცია უნდა დაიკავონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, ისინი სამშენებლო ქვეგანაყოფებს უნდა დაეხმარონ თავიანთ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით, ამავე დროს მკაცრად მოჰკითხონ მშენებლებს ბინების რიტმული გადაცემისათვის, მათი ხარისხისათვის.

მშენებლობა რთული დარგია. მისი შეუფერხებელი, საიმედო მუშაობისათვის ბევრი შემადგენელი ნაწილია საჭირო. და მათგან არცთუ უკანასკნელია თვით ხელმძღვანელების პასუხისმგებლური დამოკიდებულება დაკისრებული საქმისადმი. ისინი პასუხს აგებენ მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების საქმიანობის ყველა პარამეტრისათვის. და იქ, სადაც ეს პასუხისმგებლობა დაბალია, სადაც შეიმჩნევა შემრიგებლური დამოკიდებულება ნაკლოვანებებისადმი, მათთან ბრძოლის სურვილის ნაკლებობა ან უუნარობა — არის ჩავარდნები, იერიშობანა, ხარვეზები. ასეთ ხელმძღვანელებს უმკაცრესად მოვკითხავდით და მოვკითხავთ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე გააკრიტიკეს ბევრი იმათგანი, ვინც თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით მოვალე იყო თავი გაერთმია, მაგრამ ვერ გაართვა თავი დაკისრებულ პასუხისმგებლობას. იმისათვის, რომ ვერ უზრუნველყო ორგანიზაციების სათანადო ხელმძღვანელობა, ჩაშალა საბინაო მშენებლობის გეგმები, აგრეთვე ვერ შეასრულა დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი ობიექტების ამოქმედების დავალებანი, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 20 ტრესტის მმართველი ა. ი. დახუნდარიძე განთავისუფლებულია თანამდებობიდან, მკაცრი პარტიული სასჯელები დაედოთ სამშენებლო ქვეგანაყოფთა მთელ რიგ სხვა ხელმძღვანელებს.

გაფართოებულმა სხდომამ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაავალა გააუმჯობესონ საბინაო მშენებლობის ხელმძღვანელობა, დასახონ მიმდინარე წლის გეგმების უთუო შესრულების დამატებითი ღონისძიებანი. საშენ მასალათა მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროებს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, რესპუბლიკის სახმომარაგებას წინადადება მიეცათ მოაგვარონ საშენი მასალებით და ტრანსპორტით საბინაო მშენებლობის ობიექტების პირველ რიგში მომარაგება.

მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დასრულებამდე არცთუ ისე ბევრი დრო რჩება. საჭიროა მაქსიმალური მეცადინეობა მოვახმაროთ იმას, რომ შევასრულოთ საგეგმო დავალებები, უზრუნველვყოთ მეთორმეტე ხუთწლეულის პირველი წლის წარმატებული სტარტი.

(საქინფორმი).

სამშობლოს დამცველთა რიგებში

„საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ბრძანებით მიმდინარეობს ახალგაზრდობის მორიგი გაწვევა ნამდვილ სამხედრო სამსახურში. თადარიგში დათხოვნილი მეომრების ადგილს არმიასა და ფლოტში, სასაზღვრო და შინაგან ჯარებში დაიკავებენ საბჭოთა ახალგაზრდების ახალი წარმომადგენლები, რათა პირნათლად შეასრულონ საპატიო კონსტიტუციური ვალდებულება, რომელსაც სოციალისტური სამშობლოს დაცვა წარმოადგენს.

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში ახალგაზრდობის მორიგ გაწვევასთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტი ვ. გოლოვინი ესაუბრება საქართველოს სსრ სამხედრო კომისარს, გენერალ-მაიორს ლ. შარაშენიძეს.

დღევანდელ რთულ საერთაშორისო ვითარებაში, როცა სულ უფრო მატულობს ომის საფრთხე იმპერიალიზმის ძალების მიზეზით, ძალზე აქტუალურად ისმის დიდი ლენინის ანდერძი: ჩვენს სამშვიდობო ნაბიჯებს თან უნდა ახლდეს მთელი ჩვენი სამხედრო მზადყოფნის დაძაბვა, — თქვა საუბრის დასაწყისში რესპუბლიკის სამხედრო კომისარმა. — ამ ანდერძის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა სამხედრო-პატრიოტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესება.

ყოველწლიურად ჩვენი რესპუბლიკიდან საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო მწყობრი ღირსეულ შევსებას იღებს. ახალწვეულებს უდიდეს პატივად მიაჩნიათ ოქტომბრის ქვეყნის შეიარაღებულ დამცველთა რიგებში ყოფნა და ისინი პირნათლად ეწევიან არცთუ ისე ადვილ სამსახურს. საქართველოს 300-ზე მეტი მკვიდრი, რომლებიც არმიასა და ფლოტში მსახურობენ, დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. ეს ციფრი მოწმობს ჩვენი ახალგაზრდობის მაღალ მორალურ-პოლიტიკურ თვისებებს, იმას, რომ რესპუბლიკა მოწიფულ შევსებას უმზადებს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს.

სამხედრო სამსახურში ახლანდელი გაწვევა მიმდინარეობს იმ მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომლითაც ეგებება საბჭოთა ხალხი სკკპ XXVII ყრილობას. საბჭოთა ადამიანები, საქართველოს მშრომელები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ღირსეულად დაამთავრონ მეთერთმეტე ხუთწლედი. ეჭვი არ არის, რომ პატრიოტული აღმაფრენის, ენთუზიაზმის, მაღალი ორგანიზებულობის, საქმიანობის, პასუხისმგებლობის ვითარებაში წარიმართება პარტიული, საბჭოთა ორგანოების, სამხედრო კომისარიატების მუშაობაც მორიგი გაწვევის მოსაწყობად და ახალწვეულთა არმიაში გასაგზავნად.

სამშობლოს დღევანდელი ახალგაზრდა დამცველები გამოირჩევიან წიგნიერებით, იდეური და ფიზიკური წრთობით, ტექნიკური მომზადებით. ასეთი შევსების მომზადებაში საგრძნობი წვლილი შეაქვთ სამხედრო კომისარიატებს, დოსააფის ორგანიზაციებს.

— რომელმა სამხედრო კომისარიატებმა ისახელეს თავი ამ პასუხსაგებ საქმეში, რამ განაპირობა მათი წარმატებები? ალბათ, არის გადასაჭრელი პრობლემებიც?

— მაგალითად, აფხაზეთში იზრდება სახალხო უნივერსიტეტების, სამხედრო-პატრიოტული პრობლემატიკის კლუბების რიცხვი, აჭარაში ხორციელდება თავდაცვით-მასობრივი მუშაობის ერთთვიურებისა და კვირეულების პროგრამები. სამხრეთ ოსეთში შეიქმნა მუდმივმოქმედი ლექტორიუმი წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ჭაბუკებისათვის. თბილისში, ქუთაისსა და ფოთში, ახალციხის, ბოლნისის, ქარელის, მახარაძის, ხობისა და სხვა რაიონებში შინაარსიანად, მე ვიტყოდი, ემოციურად ეწყობა ახალწვეულთა დღეები.

დიადი გამარჯვების 40 წლისთავის წელს სამხედრო სამსახურისათვის ახალგაზრდობის საუკეთესო მომზადებისა და სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში გაწვევის ორგანიზებულად წარმართვისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს თბილისის ლენინის, პირველი მაისისა და გლდანის რაიონულმა სამხედრო კომისარიატებმა, ზესტაფონის, მარნეულის, რუსთავის, ტყიბულის, წყალტუბოს საქალაქო და რაიონულმა კომისარიატებმა. აქ შეიქმნა შესაბამისი სასწავლო-მატერიალური ბაზა, წარმატებით ეწყობა სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი გასაწვევთა შორის, ბევრი რამ კეთდება ჭაბუკების იდეური წრთობისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის. ბევრი რამ არის საინტერესო და მისაბაძი გასაწვევ ახალგაზრდობასთან მუშაობაში რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქი, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები დღენიადაგ ზრუნავენ ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის გაუმჯობესებისათვის და არმიასა და ფლოტში სამსახურად მათი მომზადებისათვის.

მაგრამ ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები, გამოუყენებელი შესაძლებლობებიც არის. შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვთ, მაგალითად, ამბროლაურის, ახმეტის, გეგეჭკორის, ლაგოდეხის, მესტიის, საჩხერის, ცაგერის, ჩხოროწყუს რაიონებს. აქ სუსტად არის დაყენებული სამხედრო-პატრიოტული მუშაობა, საკმარისი ღონისძიებები არ ხორციელდება მოსწავლე ახალგაზრდობის დაწყებითი სამხედრო და ფიზიკური მომზადებისათვის, შესაბამისი სასწავლო-მატერიალური ბაზის განვითარებისათვის.

უნდა ითქვას ისიც, რომ სუსტად არის დაყენებული რუსული ენის შესწავლა რესპუბლიკის სასოფლო რაიონებში, განსაკუთრებით ამბროლაურის, გურჯაანის, დუშეთის, ლენტეხის, თიანეთისა და წალენჯიხის რაიონებიდან გასაწვევ ახალგაზრდობაში. კვლავინდებურად ჯეროვან ნაყოფს ვერ იძლევა გასაწვევთათვის შექმნილი რუსული ენის ცოდნის სრულყოფის წრეებისა და კურსების მუშაობა.

და კიდევ ერთი პრობლემა: ნელა უმჯობესდება სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობა ახალგაზრდობაში. ზოგიერთი სამხედრო კომისარიატის საქმიანობაში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები, არის როგორც ჩვენი, ისე სამედიცინო დაწესებულებათა მუშაკების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების ფაქტები. არადა, გაწვევის წარმატებით მოწყობა ბევრად არის დამოკიდებული სამედიცინო და გამწვევ კომისიათა კარგად, ზუსტად ორგანიზებულ საქმიანობაზე. ამიტომ საჭიროა, რომ ამ კომისიათა შემადგენლობაში იყვნენ კომპეტენტური და პრინციპული ადამიანები, ისინი, ვინც არ დაუშვებს კანონის იმ მუხლების დარღვევას, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ ვის შეიძლება მიეცეს გაწვევის გადავადება.

— პატივცემულო ლევან, რა თავისებურებები აქვს ამჟამად მიმდინარე გაწვევას?

— ვფიქრობ, საჭიროა უფრო დაწვრილებით შევეხოთ სამხედრო სამსახურში სტუდენტების გაწვევას, ვინაიდან ეს საკითხი ძალზე აღელვებს გასაწვევებსა და მათს მშობლებს, ზოგჯერ კი მას არასწორად განმარტავენ და ამახინჯებენ კიდეც. ამიტომ განვმარტავ, რომ 1985 წლის ოქტომბერ-დეკემბერში გაწვევას ექვემდებარებიან მამრობითი სქესის მოქალაქენი, რომლებსაც გაწვევის დღისათვის შეუსრულდათ 18 წელი, არა აქვთ გადავადების უფლება, აგრეთვე უფროსი გასაწვევი ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც გაუთავდათ გაწვევის გადავადების კანონით დადგენილი დრო.

წლევანდელ შემოდგომაზე და მომდევნო წლებში არმიაში სამსახურად გავიწვევთ გასაწვევი ასაკის ყველა პირს, რომლებმაც 18 წელს მიაღწიეს და სწავლა დაიწყეს 1982 წლის 1 იანვრის შემდეგ — რესპუბლიკის ყველა დღის (დასწრებული) უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლიდან, სწავლების კურსისა და სამხედრო კათედრების არსებობის მიუხედავად.

ჭაბუკები, რომლებსაც უმაღლეს სასწავლებელში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელსა თუ სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში შესვლის წელს უკვე შეუსრულდათ 18 წელი ან 1 დეკემბრამდე შეუსრულდებათ, გაწვევას ექვემდებარებიან საერთო საფუძველზე (გაზაფხულზე ან შემოდგომაზე), როგორც კი შეუსრულდებათ 18 წელი. ხოლო იმათ, ვინც 1967 წლის 1 ივლისის შემდეგ დაიბადა და უმაღლეს სასწავლებელთა მეორე-მესამე კურსებზე სწავლობს, სამხედრო სამსახურში გავიწვევთ კურსზე საგაზაფხულო სესიის დამთავრების შემდეგ, ანუ 1986 წლის მაის-ივნისში.

— უპირველეს ყოვლისა, რისთვის უნდა ვიზრუნოთ ახლანდელი გაწვევის მოწყობისას განვლილი წლების გამოცდილებისა და დღევანდელი მოთხოვნების გათვალისწინებით?

— სამხედრო კომისარიატებსა და გასაწვევ კომისიებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ჯარებში ახალგაზრდების გაგზავნის ორგანიზაციისათვის. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია მხედრულ სამსახურში ჭაბუკთა საზეიმო გაცილების კარგი ორგანიზაცია. ჩვენს ქვეყანაში ეს მართლაცდა საყოველთაო-სახალხო საქმედ იქცა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხდება ხოლმე, რომ გაცილების ორგანიზაციას სათანადო ყურადღება არ ეთმობა და ეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიება საჭირო აღმზრდელობითს როლს ვერ ასრულებს. მხედველობაში მაქვს ზოგ ადგილას არაჯანსაღი ჩვეულებების გამოვლენა. მშობლები, თვითონ ახალწვეულნი გადაჭრით უნდა ილაშქრებდნენ „სუფრული“ გაცილების მოწყობის წინააღმდეგ. დედ-მამის, ომისა და შრომის ვეტერანების, თანამოსაქმე ამხანაგების დარიგება — აი რა სჭირდებათ უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდებს. ეჭვი არ არის, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები იზრუნებენ იმისათვის, რომ სამხედრო სამსახურში გაცილების დღე ახალწვეულთა ცხოვრების სასიხარულო და სამახსოვრო მოვლენად იქცეს.

დასასრულ მინდა ხაზი გავუსვა, რომ სამხედრო ნაწილებში და ხომალდებზე ახალგაზრდა შევსებას უაღრესად ხელშემწყობი პირობები შეექმნება ნაყოფიერი სწავლისათვის, საბრძოლო ტექნიკის დაუფლებისა და ცხოვრების ჩვეული ყაიდის შეცვლასთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ სიძნელეთა გადალახვისათვის.

ვუსურვოთ, ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებს, რომ მალე გახდნენ სამშობლოს უნარიანი და საიმედო დამცველები, ფხიზლად იდგნენ ოქტომბრის დიად მონაპოვართა სადარაჯოზე.

უცხოეთში

15 ოქტომბერი ● საკდესი იუწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაავრცელეს ოფიციალურ დოკუმენტად

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ოფიციალურ დოკუმენტად გაავრცელეს საბჭოთა კავშირის წინადადებანი კოსმოსის არამილიტარიზაციის პირობებში კოსმოსური სივრცის მშვიდობიან ათვისებაში საერთაშორისო თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებებისა და პრინციპების შესახებ.

კოსმოსის მილიტარიზაციის გეგმების განხორციელებას, ნათქვამია დოკუმენტში, შედეგად მოჰყვებოდა ბირთვული საფრთხის გაძლიერება, იგი ხალხებს გადაუწურავდა იმის ყოველგვარ იმედს, რომ დადგება დღე, როდესაც ბირთვული იარაღი გაქრება მთელ დედამიწის ზურგზე.

ყველა ქვეყნის ხალხები და მთავრობები მოწოდებული არიან შეიგნონ კაცობრიობის წინაშე მდგომი მასშტაბი და მისი გადაწყვეტისათვის ისტორიული პასუხისმგებლობა. საბჭოთა კავშირი ყველა ქვეყანასა და ხალხს მიმართავს წინადადებით — ძალ-ღონე არ დაიშურონ, რათა თავიდან აიცილონ გამალებული შეიარაღება კოსმოსში და ერთად იღვაწონ მისი მშვიდობიანი კვლევისა და მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ ათვისებისათვის.

◆

მკაცრად გმობენ პროვოკაციებს

დამასკო. არაბული აღმოსავლეთის კომუნისტური და მუშათა პარტიები გულისწყრომით გმობენ ლიბანში არსებული საბჭოთა დაწესებულებების მუშაკთა მძევლებად წასხმას და სსრ კავშირის მოქალაქის ავაზაკურად მოკვლას. აქ გავრცელებულ მიმართვაში, რომლის სათაურია „დაე, მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობა“, ნათქვამია, რომ აქცია, რომელშიც ხელი ურევიათ ამერიკისა და ისრაელის სპეცსამსახურებს, წარმოადგენს წინასწარგანზრახულ პროვოკაციას და მიმართულია არაბთა ერთგული მეგობრის — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს დანაშაული მსოფლიოს მთელი პატიოსანი და მშვიდობისმოყვარე ძალების, არაბთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აბუჩად აგდებაა.

საბჭოთა კავშირი, ხაზგასმულია მიმართვაში, ყოველმხრივ დახმარებასა და მხარდაჭერას უწევდა და უწევს არაბ ხალხებს. სსრ კავშირის პოზიცია ხელს უწყობს ახლო აღმოსავლეთში ამერიკის იმპერიალიზმისა და მისი დამქაშების ხრიკების ჩაშლას. არაბი ხალხები დიდად აფასებენ საბჭოთა კავშირთან მეგობრობას, როგორც ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის ბრძოლის დასაყრდენს, პროგრესისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზით დამოუკიდებელი წინსვლის გარანტიას.

არაბული აღმოსავლეთის კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა არაბ პატრიოტებსა და პროგრესულ მოღვაწეებს — ყველა პატიოსან ადამიანს მოუწოდეს, დაგმონ ეს აღმაშფოთებელი დანაშაული, გააჩაღონ ფართო კამპანია საბჭოთა მოქალაქეების დახსნისა და განთავისუფლებისათვის, სააშკარაოზე გამოიყვანონ ძალები, რომელთა მოქმედება მტრობს არაბი ხალხების ეროვნულ ინტერესებს.

პალესტინის განთავისუფლების დემოკრატიული ფრონტის, პალესტინის კომუნისტური პარტიისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის მთელი რიგი სხვა ორგანიზაციების ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ ლიბანში არსებული საბჭოთა დაწესებულებების ოთხი თანამშრომლის მოტაცება და ერთი მათგანის მოკვლა წარმოადგენს ამერიკა-ისრაელის აგენტურის უხეშ პროვოკაციას, რომლის მიზანია, ძირი გამოუთხაროს საბჭოეთისა და არაბთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტრადიციულ კავშირს.

განცხადება შეიცავს მოთხოვნას — დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ მძევლებად წასხმული სსრ კავშირის მოქალაქენი, და მოწოდებას არაბული სამყაროს მთელი პროგრესული ძალებისადმი — ყველაფერი იღონონ საბჭოთა ადამიანების გადასარჩენად.

ეძღვნება დღესასწაულს

ნიუ-იორკი. დევიზით „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უკეთესი სამყაროსათვის“ — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში დაიწყო გენერალური ასამბლეის საზეიმო სესია. იგი მიეძღვნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორმოცი წლისთავის დღესასწაულს. საერთაშორისო გაერთიანება მხარს უჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქმედითობის გაძლიერებას მისი მთავარი ამოცანის გადაწყვეტაში — მხარი დაუჭიროს საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას, ყველაზე დიდი და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის ეფექტიანი წვლილი შეიტანოს ბირთვული ომის აღკვეთის, დედამიწაზე გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და კოსმოსში მისი თავიდან აცილების საქმეში.

პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას ბოტსვანის პრეზიდენტმა კ. მასირემ აღნიშნა ის დიდი როლი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეასრულა ახალი მსოფლიო ხანძრის თავიდან აცილებაში, კოლონიური ჩაგვრისაგან ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მან კოლონიალიზმის კერების, უწინარეს ყოვლისა სამხრეთ აფრიკაში, შენარჩუნებისათვის პასუხისმგებლობა დააკისრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ წევრ ქვეყნებს, რომლებიც არ ასრულებენ ორგანიზაციის წესდებით მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საზეიმო სესია

◆

მალდივის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მ. აბდულ გაიუმ საერთაშორისო გაერთიანებას მოუწოდა ყველაფერი იღონოს განიარაღების მიღწევისა და ბირთვული არსენალების მოსპობისათვის. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ განხორციელდეს პალესტინელი ხალხის ხელშეუვალი უფლებანი, დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების მანევრები, რომელთა მიზანია ინდოეთის ოკეანეში მშვიდობის ზონის შექმნის შესახებ დეკლარაციის რეალიზაციისათვის კოლომბოში საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის ჩაშლა.

პაკისტანი ქმნის მასობრივი მოსპობის იარაღს

ნიუ-იორკი. დასავლეთის ქვეყნების დახმარებით პაკისტანი მასობრივი მოსპობის იარაღს ქმნის. ეს განაცხადა ამერიკის ჟურნალ „ტაიმის“ კორესპონდენტისადმი ინტერვიუში ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა რაჯივ განდიმ. ბირთვული ტექნოლოგიის ძირითად ნაწილს დასავლეთიდან აწვდიან კერძო კომპანიები, რომლებიც გვერდს უვლიან ამის ამკრძალავ კანონებს, ხაზი გაუსვა რ. განდიმ. არის აგრეთვე მონაცემები, რომლებიც მიგვანიშნებენ, რომ პაკისტანი ქიმიური ომისათვის ემზადება. ინდოეთის მთავრობის განკარგულებაში არსებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, ახლა ისლამაბადი ფართო მასშტაბით ახორციელებს აირწინაღების შესყიდვას დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. გარდა ამისა, პაკისტანში მოქმედებს აირწინაღების სპეციალური ქარხანა. „ინდოეთს არ მოეპოვება ქიმიური იარაღი და ამიტომ იგი არავითარ საფრთხეს არ უქმნის ამ მხრივ პაკისტანს“, —ხაზი გაუსვა რ. განდიმ.

რ. განდის განცხადება

◆

დელი. პაკისტანის ბირთვული პროგრამა უაღრესად სერიოზულ პრობლემას უქმნის ინდოეთსა და რეგიონის სხვა სახელმწიფოებს. ეს აღნიშნა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა რ. განდიმ ინდოეთის ჟურნალის „განგის“ 14 ოქტომბერს გამოსული პირველი ნომრისადმი ინტერვიუში. „ისლამაბადის განცხადებები, თითქოს იგი არ ამუშავებდეს ბირთვულ იარაღს, არ არის სარწმუნო, — თქვა მან. — ტექნიკური ბაზა, რომელიც პაკისტანს აქვს, კერძოდ, ურანის გამამდიდრებელი დანადგარები, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს რაიმე სხვა მიზნებისათვის“.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტი ხელისუფალნი კვლავინდებურად ფეხქვეშ თელავენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. სამხრეთ აფრიკის 86 რაიონში ორი თვის წინათ შემოღებული საგანგებო წესები იმას იწვევს, რომ როგორც პოლიცია, ისე არმიის ნაწილები სულ უფრო ფართოდ იყენებენ ძალას, უწინარეს ყოვლისა აფრიკელთა წინააღმდეგ. პრეტორიის უშიშროების ორგანოებს საშუალება მიეცათ რეპრესიულ აქციებს მიმართონ სასამართლოსა და გამოძიების გარეშე. ყოველივე ამან აუტანელი პირობები შეუქმნა აფრიკელ მოსახლეობას, რომელიც განაგრძობს ბრძოლას ქვეყანაში უკანონობისა და თვითნებობის წინააღმდეგ.

„ნიუ-იორკ ტაიმს მეგეზინიდან“ გადმობეჭდილ სურათზე: პოლიციისა და ჯარისკაცების რაზმი პატრულობს იოჰანესბურგის გარეუბანს.

საკდესის ფოტოქრონიკა.

საფრანგეთის დღეები საქართველოში

მშვიდობისა და ურთიერთგაგებისათვის

თბილისი. კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ფრანგ და ქართველ მსახიობთა ერთობლივი კონცერტით დამთავრდა საფრანგეთის დღეები ჩვენს რესპუბლიკაში.

დახურვაზე გამოსვლისას საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ვ. რ. ასათიანმა აღნიშნა, რომ დღეები დიდხანს დარჩება რესპუბლიკის საზოგადოებრიობის ხსოვნაში. ეს იყო ჩვენი კონტაქტების მოგონების დღეები, რომლებიც სათავეს შორეულ წარსულში იღებენ, ეს იყო ახალი შეხვედრების, ნაცნობობის დღეები. და, უეჭველია, ისინი დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებენ საქართველოს და საფრანგეთის ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცებისათვის.

„საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების საპრეზიდენტო საბჭოს წევრმა ფრანსუა ლიუშერმა საქართველოში საფრანგეთის დღეების მონაწილეთა სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობას გულითადი მასპინძლობისათვის, ფრანგი ხალხისადმი, მისი კულტურისადმი გამოვლენილი გულწრფელი გრძნობებისათვის.

— ჩვენს რესპუბლიკაში საფრანგეთის დღეები გაიმართა ღირსშესანიშნავ პერიოდში, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის უმაღლესი დონის შეხვედრების დამთავრებისთანავე. და დღეს შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ დღეებმა ღირსეული წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნების მეგობრული კონტაქტების განმტკიცებაში, — განაცხადა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ნ. მელაძემ.

საქართველოში საფრანგეთის დღეების დახურვას დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე პ. პ. ჩხეიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე. (საქინფორმი).

ერთიანდებიან სიფხიზლის მომხრენი

17 ოქტომბერს თბილისში გაიმართება სიფხიზლისათვის ბრძოლის რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საზოგადოების დამფუძნებელი კონფერენცია. ამასთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტი შეხვდა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანს ზ. ა. კვაჭაძეს და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენსამე კითხვაზე.

— პატივცემულო ზინაიდა, რა მიზნებსა და ამოცანებს ისახავს ეს საზოგადოება?

— იგი გააერთიანებს ფხიზელი ცხოვრებისათვის მიზანდასახული ბრძოლის მომხრე ადამიანთა ფართო მასებს — მუშებს, კოლმეურნეებს, მოსამსახურეებს, ერთი სიტყვით, ყველა იმათ, ვინც მხარს უჭერს ჩვენი ცხოვრებიდან ლოთობისა და ალკოჰოლიზმის მთლიანად აღმოფხვრას.

საზოგადოება აქტიურ პროფილაქტიკურ მუშაობას გასწევს ამ მიმართულებით შრომითს კოლექტივებში, უმაღლეს სასწავლებლებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში, საშუალო სკოლებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, დასვენების ცენტრებში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ცალკეულ პირებთან, რომლებიც ეტანებიან სასმელს.

საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი იმ საკანონმდებლო აქტების განუხრელად დაცვისადმი კონტროლის გაძლიერებას, რომელთა მიზანია ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევა, არყის შინ გამოხდისა და სპირტიანი სასმელებით სპეკულაციის, სპირტიანი სასმელების ვაჭრობის წესების დარღვევათა აღკვეთა. საზოგადოება ვალდებულია, შესაბამის ორგანოებში შეიტანოს წინადადებანი დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

— როგორი იქნება ამ საზოგადოების სავარაუდო როლი მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციის საქმეში?

— დღეისათვის საკლუბო დაწესებულებების, კულტურისა და დასვენების პარკების, სპორტული ცენტრების უმრავლესობა საკმაოდ ეფექტიანად არ მუშაობს. ამიტომაც სიფხიზლისათვის ბრძოლის საზოგადოება ყოველმხრივ ხელს შეუწყობს მშრომელებში განსაკუთრებით ახალგაზრდობაში კულტურული, შინაარსიანი დასვენების ორგანიზაციას, სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევებისადმი, სპორტული შეჯიბრებებისა და ტურიზმისადმი ინტერესის განვითარებას.

საზოგადოების ხელშეწყობით შეიქმნება კლუბები ინტერესების მიხედვით, განვითარდება მხატვრული შემოქმედება, კოლექტიური მებაღეობა-მებოსტნეობა, გახდება ახალი უალკოჰოლო წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების შემუშავებისა და დანერგვის ინიციატორი.

— როგორია საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა?

— იგი იქმნება ტერიტორიულ-საწარმოო პრინციპით. მის საფუძველს შეადგენს პირველადი ორგანიზაციები სამუშაოს, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლებიც იქმნება სულ ცოტა საზოგადოების ხუთი წევრისაგან. პირველადი ორგანიზაციის კრება ყოველდღიური ხელმძღვანელობისათვის ირჩევს თავმჯდომარეს, მდივანსა და ხაზინადარს. იმ პირველადს ორგანიზაციებში, სადაც 50 და მეტი წევრია, აირჩევენ ხელმძღვანელ ჯგუფს (ბიუროს). პირველადი ორგანიზაციის საერთო კრებას მოიწვევენ წელიწადში ორჯერ მაინც. ხოლო პირველადი ორგანიზაციები გაერთიანდებიან რაიონულ, საქალაქო, საოლქო ორგანიზაციებად.

— ვინ შეიძლება გახდეს საზოგადოების წევრი, როგორი იქნება მათი უფლება-მოვალეობანი?

— საზოგადოების წევრი შეიძლება გახდეს ყველა მოქალაქე, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა და სპირტიანი სასმელებისაგან თავის შეკავების, სამუშაოზე და ცხოვრებაში ღირსეული ქცევის მაგალითს იძლევა.

საზოგადოების წევრს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს სიფხიზლისათვის ბრძოლის საზოგადოების ორგანიზატორულ, პროპაგანდისტულ-საგანმანათლებლო და სხვა საქმიანობაში, ალკოჰოლის საწინააღმდეგო ხასიათის მასობრივი ღონისძიებების განხორციელებისათვის მზადებაში თავის კოლექტივში და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საზოგადოების ორგანიზაციებისაგან მიიღოს კონსულტაციები ფხიზელი ცხოვრების პროპაგანდის მეთოდიკის შესახებ. იგი ვალდებულია, დაიცვას საზოგადოების წესდება და აქტიურად ითანამშრომლოს ერთ-ერთ მის პირველადს ორგანიზაციაში.

სიფხიზლისათვის ბრძოლის რესპუბლიკური საზოგადოება ემყარება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს. ეს საზოგადოებას საშუალებას მისცემს მაღალხარისხოვნად შეასრულოს თავისი ფუნქციები. ამოცანები კი ჩვენს წინაშე ძალზე სერიოზულია. პარტიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ხომ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდება, მიზანმიმართულად და ეფექტიანად წარიმართება! ამ საერთო-სახალხო საქმეში მტკიცე სიტყვა უნდა თქვას სიფხიზლისათვის ბრძოლის რესპუბლიკურმა საზოგადოებამ.

მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს დილის 11 საათზე პროფკავშირთა კულტურის სასახლეში (ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, 43) **გაიმართება საქართველოს სიფხიზლისათვის ბრძოლის რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საზოგადოების დამფუძნებელი კონფერენცია.** დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 16 ოქტომბერს 16-დან 20 საათამდე და 17 ოქტომბერს 8 საათსა და 30 წუთიდან 10 საათსა და 30 წუთამდე პროფკავშირთა კულტურის სასახლეში.

ტელეფონები: 37-16-44, 37-19-31.

საორგანიზაციო კომიტეტი.

ფესტივალი „ქება ვაზისა“: მისი ხმები და ფერები

უხვი გამოდგა წლევანდელი მუსიკალური შემოდგომა თელავში. მრავალრიცხოვანი კონცერტები გაიმართა კამერული მუსიკის ფესტივალის — „ქება ვაზისა“ ფარგლებში.

კვირის მანძილზე ლამაზი პლაკატები, აფიშები და ტრანსპარანტები იწვევდნენ მსმენელებს კონცერტებზე, რომლებიც შეიცავდნენ კლასიკასაც, თანამედროვეობასაც და ფოლკლორსაც... მუსიკალურ პალიტრას შეერწყა ახალგაზრდა ქართველ მხატვართა ნამუშევრებიც, რომლებმაც სპეციალურად ამ დათვალიერებისათვის მოაწყვეს გამოფენა თეატრის ფოიეში. ფესტივალის ნამდვილი მშვენება გახდა აგრეთვე ლადო გუდიაშვილის, ირაკლი გამრეკელისა და პეტრე ოცხელის მიერ თეატრისათვის შექმნილ ესკიზთა ექსპოზიცია.

საკმარისია მოვიყვანოთ ამ დათვალიერების რამდენიმე სტატისტიკური მონაცემი, რომ წარმოვიდგინოთ მისი მასშტაბურობა: ათ კონცერტს დაესწრო რვა ათასზე მეტი მსმენელი, კონცერტებში მონაწილეობდა ასზე მეტი მუსიკოსი. ამ ციფრებს უნდა დაემატოს გამოსვლები ღია ცის ქვეშ ვენახებში, სადაც ძნელი იყო მაყურებელთა რიცხვის დადგენა..

წლევანდელმა ფესტივალმა გაახარა ქალაქის მშრომელები და რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები ჟანრობრივი მრავალფეროვნებით, იმით, რომ შესაძლებლობა მიეცათ პირველებს მოესმინათ სსრ კავშირის სახალხო არტისტის ო. თაქთაქიშვილისა და სომეხი კომპოზიტორის ტ. მანსურიანის ახალი თხზულებანი, რომლებმაც დათვალიერებას უძღვნეს თავიანთი ნაწარმოებები.

13 ოქტომბერს თელავის სახელმწიფო თეატრში ბოლო აკორდები გაისმა. ფესტივალის დასკვნითი კონცერტი გახსნეს ყველაზე ნორჩმა მონაწილეებმა — თბილისის ფალიაშვილის სახელობის სპეციალური საშუალო სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა კვარტეტმა. მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს მსმენელებმა ცნობილი მუსიკოსები ელისო ვირსალაძე — დათვალიერების მოწყობის ინიციატორი, ნატალია გუტმანი, ოლეგ კაგანი, ბოროდინის სახელობის სახელმწიფო კვარტეტი, ლიტვის სსრ კამერული ორკესტრი, ძველი მუსიკის ანსამბლი ესტონეთიდან „ჰორტუს მუსიკუს“, სახტელერადიოს სიმებიანი. კვარტეტი, ამ შთამბეჭდავი დღესასწაულის ყველა მონაწილე. ლიტვის კამერული ორკესტრისა და თბილისის კონსერვატორიის სტუდენტთა ორკესტრის შესრულებით ჩაიკოვსკის „სერენადის“ მომაჯადოებელი მელოდიები, მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეთა შესრულებით უკვდავი „მრავალჟამიერი“ ფესტივალის ამაღლებელი ეპილოგი გახდა.

კონცერტის შემდეგ ფესტივალის ყველა მონაწილეს და მსმენელს გულთბილად მიესალმა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ვ. ასათიანი. მან აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუსიკალურ ამ დათვალიერებას, რომელიც, უეჭველია, ახალ იმპულსს მისცემს თელავის კულტურულ ცხოვრებას.

ქალაქის მშრომელთა სახელით გამოვიდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პ. დემურიშვილი.

ფესტივალის დასკვნით კონცერტს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ნ. ენდელაძე და ნ. ჯანბერიძე.

* * *

გთავაზობთ ფესტივალის მონაწილეების მოსაზრებებს:

ვალენტინ ბერლინსკი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი, პროფესორი: — ფესტივალის დონე აღფრთოვანებას იწვევს. მსმენელებმა იმედი გაგვიმართლეს, მათ ღრმად შეიგრძნეს მუსიკის ძალა.

ახლანდელი დათვალიერება უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ აქ კონცერტები კარგად ეხამებოდა სემინარულ მეცადინეობას — ღია გაკვეთილებს, რომლებსაც აწყობდნენ სპეციალობათა მიხედვით წამყვანი მუსიკოსები და რომლებიც მიეძღვნა ჰენრიხ ნეიჰაუზის ხსოვნას ქართველ შემსრულებელთა მთელი პლეადა რომ აღზარდა. ამ ფესტივალის მნიშვნელობა ფართოდ სცილდება მისი მიზნის — საუკეთესო მუსიკალური ნიმუშების პროპაგანდის, საშემსრულებლო ოსტატობის გაცნობის ფარგლებს.

საულიუს სონდეცკისი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი:

— თელავის ფესტივალი ღირსშესანიშნავი მოვლენაა ქვეყნის მუსიკალურ ცხოვრებაში. მე მას „მუსიკალურ აკადემიას“ ვუწოდებდი..

შესანიშნავმა პიანისტმა ელისო ვირსალაძემ გვაჩუქა დაუვიწყარი შეხვედრა. შესაძლებლობა მოგვეცა უფრო ახლოს გავცნობოდით საქართველოს მშრომელებს.

განსაკუთრებით მახარებს მსმენელთა ინტერესი სერიოზული მუსიკისადმი. ხომ არავისათვის არ არის საიდუმლო, რომ კამერული მუსიკის კონცერტებზე დარბაზები ყოველთვის როდია ხალხით გაჭედილი. აქ კი, პირიქით, კონცერტზე დასწრების მსურველი ბევრად მეტი აღმოჩნდა, ვიდრე თეატრის დარბაზს შეეძლო დაეტია. (საქინფორმი).

სახალხო დღესასწაულებზე

მცხეთობა — შრომისა და მოსავლის ზეიმი

უამინდობის მიუხედავად, კვირას დილიდანვე ბევრმა თბილისელმა, საქართველოს სხვა ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლებმა მოაშურეს მცხეთას. აქ გაიმართა შრომისა და მოსავლის სახალხო დღესასწაული „მცხეთობა“, რომელიც უკვე ტრადიციად იქცა.

შეხვედრის სითბო მასპინძლებთან ერთად შეიგრძნეს და გაიზიარეს მოსკოვიდან, ლენინგრადიდან ჩამოსულმა სტუმრებმა, აგრეთვე სომხეთის იჯევანის რაიონისა და ლატვიის კულდიგის რაიონის წარმომადგენლებმა, რომლებსაც ემეგობრებიან და ეჯიბრებიან მცხეთის მშრომელები.

არაგვისა და მტკვრის შესართავთან გაშენებული ძველთაძველი ქალაქ-მუზეუმის ცხოვრებას დღევანდელობის ახალი ნიშნები დაეტყო. განვითარების მიზნობრივი კომპლექსური პროგრამის შესაბამისად გრძელდება იმ ტერიტორიის რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობა, რომელიც ეკვრის უნიკალურ არქიტექტურულ ანსამბლებს — სვეტიცხოველსა და სამთავროს, ქალაქის ცენტრალურ — სტალინის ქუჩას. ღიაცისქვეშა სანახაობრივ კომპლექსს — ბებრისციხის თეატრონს.

ქალაქ მცხეთის რეკონსტრუქცია-ადაპტაციის საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელმა გ. შაიშმელაშვილმა, რომელიც ახლანდელ დღესასწაულზე მცხეთის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს, გვაცნობა:

— გათვალისწინებულია აიგოს მემორიალური კომპლექსი, რომელიც მნახველს გააცნობს ქალაქ-მუზეუმის წარსულსა და აწმყოს, აშენდეს სპორტული ზონა, დაიწყოს სპეციალური სამდინარო ტრანსპორტის მიმოსვლა.

დღესასწაულისადმი მიძღვნილ მიტინგზე გამოსვლისას პარტიის მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ეცადაშვილმა მადლობა უძღვნა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ნაკრძალი ქალაქის, მისი ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარებისათვის დაუღალავი ზრუნვის გამო.

დღესასწაულისათვის რაიონში გაჩნდა საწარმოო, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ახალი ობიექტები. 400 ოჯახმა ახალმოსახლეობა გადაიხადა.

... თეატრონის სცენაზე პატივს მიაგებენ ომისა და შრომის ვეტერანებს, სოფლის მეურნეობის წარჩინებულ მშრომელებს. დიდი წარმატებით გამოვიდნენ აქ თბილისის, მცხეთის, ლატვიის ქალაქ კულდიგის პროფესიული და თვითმოქმედი კოლექტივები. შემდეგ მოეწყო მასობრივი სახალხო სეირნობა, სპორტული შეჯიბრება, ბაზრობა, მოზრდილებთან ერთად დღესასწაულზე მოვიდნენ ბავშვებიც, რომლებსაც ტყეპარკში მოელოდათ მხიარული თავშესაქცევი ატრაქციონები.

მცხეთობის დღესასწაულში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვარძელაშვილი.

სურათზე: დიდძალი ხალხი იყო თეატრონის ტრიბუნებზე, სადაც გაიმართა ეროვნული დღესასწაული მცხეთობა.

ი. დავითაშვილისა და მ. დათიკაშვილის ფოტო.

„პრინციპულად უნდა ვებრძოლოთ საქმის ვითარების ვარდისფრად წარმოდგენის ყოველ ცდას, ალვკვეთოთ თვალის ახვევისა და მოტყუების ფაქტები“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამა წლის 11 ოქტომბრის თათბირის მასალებიდან.

დანაშაული, აღქმა, შეფასება...

- დაგეგმილი უბედურება?!..
- მკითხველის კარნახით
- ვითომ ეს კრიტერიუმია?

1.

ოცდასამი წლის ირინე პავლოვა, თვალადი, ტანადი, სიცოცხლით, რომანტიკით აღსავსე, სმოლენსკიდან ჩვენთან ტურისტად ჩამოსული ქალიშვილი, 29 აგვისტოს ადრიან დილით დარიალის ხეობის სანახავად მანქანით რომ მიჰყავდათ, ხრამში გადავარდა და დაიღუპა. მძღოლი მძიმედ დაშავდა.

სტატისტიკისა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიან დოკუმენტაციაში ეს საცოდაობა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევად იწოდება. ხალხში იტყვიან, რა უბედური შემთხვევა მოხდაო. ასე რომ, ვერც ოფიციალური და ვერც არაოფიციალური ტერმინოლოგია ცნება „შემთხვევას“ ვერ სცდება, გვერდს ვერ უვლის.

არცთუ უსაფუძვლოდ.

მართლაც, ნუ წავიდოდა ირინე იმ დღეს დარიალზე ან ნუ ჩაჯდებოდა იმ მანქანაში. შემთხვევითობაა — აბა სხვა რა, რომ ავარია ნატახტარ-ბესლეთის გზის 127-ე კილომეტრზე მოხდა და ასე შემდეგ.

მაგრამ, ნუ ჩამოგვართმევთ მკრეხელობაში, ცოდვად ნუ დაგვადებთ, თუ ამ საგზაო-სატრანსპორტო უბედურ შემთხვევას ჩვენ „კანონზომიერ“, „დაგეგმილ“ უბედურებად წარმოგიდგენთ.

უბედურებას ვინ გეგმავს?

ჭკუათმყოფელი, საღ გონებაზე — არავინ!

მაგრამ საღ გონებაზე ცხოვრებაში ბევრი რამ ხდება ისეთი, რაც უბედურებას წანამძღვრებს უქმნის, ამზადებს. შემთხვევითობის მეცნიერული გაგება, რომ მეტწილად იგი აუცილებლობის გამოხატულებად და დამატებად გვევლინება, სწორედ ამას ემყარება.

ამ უბედურ შემთხვევაში ფოკუსირებულია მისი თითქმის ყველა წანამძღვარი — აქ არის წესისა და რიგის ელემენტარულ მოთხოვნათა უგულებელყოფა, შრომის, სასამსახურო დისციპლინის, დადგენილი რეჟიმის დარღვევა, უკონტროლობა, მკითხველმა განსაკუთრებით გაადევნოს თვალი იმას, რა ცუდი საქმე ქნა არაყმა და ღრეობამ.

საქართველოს კომკავშირის სახელობის ყაზბეგის ტურისტული კომპლექსის ინსტრუქტორმა ნ. ხულელიძემ სამი ტურისტი ქალი ტურბაზიდან გამოიყვანა და ყაზბეგის სარემონტო კანტორის მძღოლის, ადგილობრივი მაცხოვრებლის დ. ეფხოშვილის ბებიას მიჰგვარა სტუმრად, თუმცა მოხუც მასპინძელს ამაზე არ უოცნებია.

„ბიჭებმა“ ხულელიძემ და ეფხოშვილმა სტუმრებს სუფრასთან გაათენებინეს. მოგეხსენებათ, ჩაისა და ყავის სმას მთელ ღამეს არავინ ანდომებს — ალკოჰოლი იყო იმ საბედისწერო ღამეს მათი მბრძანებელ-გამგებელი.

გამთენიისას ხულელიძემ და მისმა ორმა სტუმარმა ტურსასტუმროს მიაშურეს — გამოძინება სჭირდებოდათ. პავლოვამ და ეფხოშვილმა დარიალის ხეობამდე გასეირნება მოისურვეს. ეფხოშვილი არ იყო გამოფხიზლებული, როცა საბარგო ავტომანქანა „გაზ-52“ რემკანტორიდან გამოაგორა, სტუმარი გვერდით მოისვა და... ის საცოდაობაც მოხდა.

ახლა, ცხადია, ყველა ტრიალებს:

30 აგვისტოს სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი და ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო გაერთიანდნენ, მოაწყვეს ერთობლივი სხდომა-კოლეგია და ტურკომპლექსის დირექტორი ი. ჯანუყაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლეს...

4 სექტემბერს შეიკრიბა პარტიის ყაზბეგის რაიკომის ბიურო, მის მუშაობაში მონაწილეობდა იმავე ტურიზმის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თ. წივწივაძე. ტურკომპლექსის ყოფილ დირექტორს ი. ჯანუყაშვილს ახლა სასტიკი საყვედური გამოუცხადეს სააღრიცხვო ბარათში შეტანით, ხოლო მის მოადგილეს გ. ავსაჯანიშვილს, რომელიც ამავე დროს პარტბიუროს მდივანია, — სასტიკი საყვედური..

დაღუპული ტურისტი ქალიშვილის მშობლებს დაეხმარნენ ცხედრის სმოლენსკში გადატანაში...

მეტი ვის რაღა უნდა ექნა მომხდარი ფაქტის შემდეგ?

მაგრამ ფაქტის მოხდენამდე?

ხომ არ გავაკვირვებთ მკითხველს, თუ ვიტყვით, რომ 1985 წლის 29 აგვისტოს უბედურება 1983 წლის ნოემბერში დაიგეგმა, როცა ტურკომპლექსის დირექტორად ამ თანამდებობისათვის სრულიად შეუფერებელი კაცი დაინიშნა. ჯანუყაშვილი ხომ განათლებით აგრონომია, ადრე უმუშავია სოფლის მეურნეობაში და რაიკავშირში. არც გამოცდილებით, არც მორალურად, არც წარსულით და არც სხვა რაიმე მონაცემით მისი გაგზავნა ისეთ უბანზე, რომელიც ხალხის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ფიზიკურ და ზნეობრივ აღზრდას ემსახურება, რაღა თქმა უნდა, არ იქნებოდა და, სრულიადაც არ არის მოულოდნელი, რომ ირგვლივაც უღირსნი შემოიკრიბა. იგივე ხულელიძე აიღეთ. სავალდებულო საშუალო განათლებაც არა აქვს, ინსტრუქტორად კი დანიშნეს — ტურისტებს ინსტრუქტაჟი უნდა გაუწიოს. მიხვდა, რომ ამად არ გამოდგებოდა, და მანქანის ტარება ისწავლა. აქაც წესი დაარღვიეს და სასამსახურო მანქანა ჩააბარეს სატარებლად.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ ყოველმხრივ შეისწავლა ყაზბეგის ტურკომპლექსში შექმნილი მდგომარეობა და უკანონობის, უკონტროლობის, დანაშაულობათა ხელშეწყობის მრავალი ფაქტი გამოავლინა.

აქ სად სცალიათ ტურისტთა კონტინგენტისათვის საზრუნავად, აქ გაქანებული საქმოსნობა და თაღლითობაა, თანაც — წლების განმავლობაში! ჯერ კიდევ წინა დირექტორმა გ. გარაყანიძემ შეძლო უამრავი დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავის დაძვრენა.

ახალ დირექტორს საფინანსო-დოკუმენტური რევიზიის წინასწარი მონაცემებით, 20 ათასი მანეთის მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი აქვს. ყოფილი მთავარი ბუღალტრის გ. გელაძისა და შეფ-მზარეულ გ. ფოცხიშვილის საქმე, რომელიც რევიზიის შედეგად წამოიჭრა, ჯერ კიდევ 1981 წელს ჰქონდა გამოძიების ორგანოებს გადაცემული. მაგრამ რა? მოახერხეს და ორივემ დღემდე შეინარჩუნეს მატერიალურად პასუხაგები თანამდებობანი.

ერთხელ გაუვიდათ დამნაშავეებს, მეორეჯერ... მესამეჯერ კი თვითონ რევიზორებმა დაიწყეს დარღვევებისა და დანაშაულობათა მიფუჩეჩება, ამით ხელის მოთბობა. ერთ ნიშანდობლივ არითმეტიკას მოვიშველიებთ: სხვადასხვა ხასიათის მისიით (მათ შორის, სარევიზიოდაც) 1983-84 წლებში რესპუბლიკური საბჭოს მუშაკები 94-ჯერ იყვნენ მივლინებული ყაზბეგის ტურისტულ ბაზაში და არც ერთხელ არავის განგაში არ აუტეხია.

ადამიანი უნდა დაღუპულიყო, ტრაგედია უნდა დატრიალებულიყო, რომ ერთ ობიექტურ შესწავლას გამოემზეურებინა ყველაფერი ის, რაც ზემოთ არის მოთხრობილი?!

და ამის შემდეგ ვინღა შეეცდება ამტკიცოს, რომ 1985 წლის 29 აგვისტოს უბედური შემთხვევა მოხდა?!

2.

ამ ნაღვლიანი მასალის გამოქვეყნებას ჩვენ ჯერ კიდევ იმ კვირას ვაპირებდით, ერთხელ ნომერშიც კი იყო დაგეგმილი. მაგრამ აი სარედაქციო ფოსტამ ასეთი შინაარსის წერილი მოგვიტანა:

„პატივცემულო რედაქციავ! ამჟამად პარტიულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნები მიმდინარეობს. ჩემთვის ცნობილია, რომ წელს ამ კამპანიას კარგი პირი უჩანს და უმრავლესად საანგარიშო-საარჩევნო კრებები მაღალ დონეზე იმართება. მაგრამ მე მაინტერესებს — არის თუ არა ფაქტები, როცა საანგარიშო პერიოდში გაწეულ პარტიულ მუშაობას ფორმალურად აფასებენ, შეფასებისას არ ითვალისწინებენ კოლექტივში შექმნილ მდგომარეობას, დარღვევებს, რომლებიც უშუალოდ შინაპარტიული ხასიათისა არ არის, ან იმ დანაშაულობებს, რომლებიც უპარტიოებმა ჩაიდინეს, და ა. შ. ცნობილია თუ არა რედაქციისათვის თუნდაც ერთი ფაქტი, როცა ზემდგომ პარტიულ ორგანოს შეეცვალოს საანგარიშო კრების ფორმალური შეფასება — დამაკმაყოფილებელი — არადამაკმაყოფილებელზე?“.

შემდეგ წერილში გამოთქმულია სურვილი, რომ გაზეთმა თავის ფურცლებზე წამოჭრას ეს საკითხები. უთუოდ მისაღები წინადადებაა და რედაქცია მას უახლოეს ხანში განახორციელებს. ამჯერად კი ამ წერილმა უმალ სურვილი დაგვიბადა შეგვემოწმებინა, როგორ ჩაიარა საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა ყაზბეგის ტურკომპლექსში და ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოში, რომელ შეფასებას უყარეს კენჭი კომუნისტებმა.

3.

მკითხველის თხოვნამ ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოში მიგვიყვანა, გავეცანით მისი პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრების მსვლელობას, მის შედეგებს, კომუნისტთა განწყობილებას. წინასწარ ვიტყვით, კრებამ მეტად მშვიდად ჩაიარა, პარტბიუროს მუშაობაც დამაკმაყოფილებლად შეაფასეს.

და აი, იბადება კითხვა: ჰქონდათ კი აქაურ კომუნისტებს გულდამშვიდების უფლება? განა მათმა პარტბიურომ მართლაც დამაკმაყოფილებლად იღვაწა?

ჯერ ყაზბეგის ტურისტულ კომპლექსში მომხდარი ფაქტები სად იყო, როცა მიმდინარე წლის დასაწყისში საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი ქალაქის საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ქიმწმენდის, ტანსაცმლის ღებვის და თეთრეულის რეცხვის გაერთიანება „თოლიაში“ განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების დატაცების შესახებ. ამ გაერთიანების მაქინატორები სწორედ ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების განყოფილების ყოფილ გამგეს ქ. ნუგზარაშვილს დაუკავშირდნენ და 1982-1983 წლებში 244.594 მანეთის უსაქონლო ოპერაციები მოახდინეს. ამ თანხიდან „თოლიას“ მუშებს ხელფასის სახით მისცეს 52.321 მანეთი, მთლიანად კი დაიტაცეს 94.829 მანეთი.

საჭირო იყო თუ არა ამ და სხვა ანალოგიურ ფაქტზე პრინციპული საუბარი ჰქონოდათ წლის მთავარ კრებაზე? როცა ასეთი კითხვით მივმართეთ ივანე ლაბოდაევს, ოთხი წელი ზედიზედ რომ იყო არჩეული პარტბიუროს მდივნად და მხოლოდ ამ კრებაზე აღარ აირჩიეს, აგრეთვე ზოგიერთ სხვა კომუნისტს, გაოცებით გვიპასუხეს: ეს ფაქტები ხომ წინა საანგარიშო პერიოდში მოხდაო, თანაც პარტიული საქმეების საქაღალდიდან თვითკმაყოფილების გამომხატველი მოძრაობით გაწვდიან დადგენილებას წლეულს თებერვლის ბოლოს გამართული იმ ღია პარტიული კრებისას, რომელზეც განიხილავთ პარტორგანიზაციის ამოცანები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს მიმდინარე წლის 15 იანვრისა და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს 8 თებერვლის დადგენილებათა შესასრულებლად. წინა დღით ამავე საკითხზე მსჯელობა ჰქონიათ საბჭოს კოლეგიისა და პარტბიუროს გაერთიანებულ სხდომაზე და ღონისძიებებიც შეუმუშავებიათ. მაგრამ პირდაპირ და უბოდიშოდ უნდა ითქვას, რომ ღია პარტიული კრების დადგენილება მხოლოდ ფარატინა ქაღალდია, რომლის მხოლოდ ოთხი მცირე აბზაციდან ერთ კონკრეტულ წინადადებასაც ვერ შეხვდებით, რომლის განხორციელება სიკეთეს მოუტანდა კოლექტივს.

რამდენიმე კომუნისტმა, რა თქმა უნდა, სრულიად სამართლიანად გამოთქვა წუხილი — ჩვენ მომხდარი ფაქტით უკვე დიდი ტრავმა მივიღეთო. მართლაც, რომელ კოლექტივში აღმოჩნდება კაცი, რომ არ დაადარდიანოს ასეთმა ამბავმა. მაგრამ გაჩუმება, პირში წყლის ჩაგუბება, მით უმეტეს საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებაზე, სწორი პოზიცია არ არის. თანაც განა მარტო საბჭოს აპარატის ბუღალტერიაში მომხდარი უკეთურობა იყო განსასჯელ-დასაგმობი. ბოლო ხანს ადგილებზეც, ტურისტულ დაწესებულებებში იმდენი აღმაშფოთებელი ფაქტი გამოვლინდა, რომ საბჭოს კომუნისტებს, აპარატის ყველა მუშაკს ღამეც არ უნდა ეძინოთ. ცოდვას ვერ ვიტყვით, საანგარიშო მოხსენებაში მათ შესახებ მოკლედ, მაგრამ მაინც ითქვა. თავის გამოსვლაში სარევიზიო განყოფილების გამგემ ა. ბიჭაშვილმაც ჩამოთვალა ფაქტები, მაგრამ სხვა მოკამათეთა უმრავლესობა, თითქოს საერთო პირი არ ანაღვლებთო, თავ-თავიანთი განყოფილებებისა თუ უბნების იქით არ იხედებოდნენ, მხოლოდ უშუალო მოვალეობაზე მოსაწყენი ანგარიშების წარმოდგენას სჯერდებოდნენ.

ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო კი რაღაც განყენებული ორგანიზაცია როდია. იგი თავისებური მართვის ორგანოა, ის შტაბია, რომელიც პასუხისმგებელია თავისი თითოეული ადგილობრივი ორგანიზაციისა და ობიექტის მუშაობისათვის, მოქმედებისათვის. ამიტომ აპარატის პარტბიუროს მთავარი ამოცანა ის არის, რომ სწორედ ეს მოვალეობა ჩაუნერგოს ცალეულ განყოფილებებში მომუშავე კომუნისტებს, საბჭოს ყველა მუშაკს, გაზარდოს მათი პასუხისმგებლობა.

თვითონ განსაჯეთ, ამ ბოლო ორი წლის მანძილზე სერიოზული ფინანსური დამახინჯებანი აღმოჩნდა თბილისისა და ლენინგორის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროებში, სიღნაღისა და ბორჯომის ტურისტულ ბაზებში. განა წლეულს, სწორედ ამ საანგარიშო პერიოდში არ გამოავლინეს საგამოძიებო ორგანოებმა რამდენიმე ათასი მანეთის დანაკლისი ახალციხის საექსკურსიო ბიუროში?! ანდა განსაკუთრებულ განსჯას, განსაკუთრებული ღონისძიებების დასახვას იმსახურებს თუ არა მუხურჩის (გეგეჭკორის რაიონი) სოფლის მეურნეობის დამხმარე მეურნეობაში შექმნილი სრული განუკითხაობისა და უკონტროლობის ვითარება. აქ სხვადასხვაგვარი მაქინაციებით, ფინანსური დისციპლინის დამახინჯებითა და ბოროტმოქმედებით 75 ათასი მანეთი დანაკლისი აღმოჩნდა. პარტბიუროს მოხსენებაში აღინიშნა, რომ საბჭოს კვების განყოფილების ინსტრუქტორი გ. დანელია, რომელიც სწორედ დამხმარე მეურნეობებს კურირებს, მარტო შარშან, საერთო ანგარიშით, ორ თვეს იყო ამ მეურნეობაში მივლინებით და იქ საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინა. როცა გ. დანელია კრებაზე გამოვიდა, მან კრიტიკისაგან თავის დაცვა ამჯობინა და განაცხადა, მე ხომ სარევიზიო-საფინანსო დარგის მუშაკი არა ვარო.

საბჭოს მუშაობაში არის ბევრი სხვა ხარვეზი, თავმოუბმელი საქმე. წლეულს განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა საფინანსო გეგმის შესრულების მხრივ. დიდხანს კაციშვილი არ ეკარება ბევრი ობიექტის მშენებლობისათვის ოდესღაც აღმართულ ხარაჩოებს. ყველაფრიდან ჩანს, რომ პარტბიურო სათანადო მომკითხველობას ვერ იჩენს აპარატში მომუშავე კადრებისადმი. ამიტომაც მოხდა, რომ ბოლო ორ წელიწადში აქ ბევრი პასუხისმგებელი მუშაკი ადმინისტრაციული წესით დაისაჯა, ხოლო ბევრს სამუშაოს დატოვებაც მოუხდა. ერთი გადაწყვეტილებაც გვეჩვენება უცნაური — საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. აზბა, რომელმაც დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა გამოიჩინა საფინანსო დოკუმენტების ხელმოწერის დროს, აგრეთვე ჰქონდა მას სხვა სერიოზული შეცდომები, საკუთარი განცხადებით გაათავისუფლეს თანამდებობიდან. აბა ეს რა მომკითხველობაა!

უდავოა, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს პარტიული ორგანიზაციის ამ რამდენიმე დღის წინათ გამართულ საანგარიშო-საარჩევნო კრებას აკლდა გაბედულება, პრინციპულობა, პარტბიუროს მიერ გაწეული მუშაობის ობიექტური განსჯა და შეფასება. სწორედ ამიტომ არის, რომ კრებამ ვერ დასახა საჭირო კონკრეტული ღონისძიება მომავალი საანგარიშო პერიოდისათვის. იგი იმდენად ზოგადი და უმეტყველოა, რომ ახალარჩეული პარტბიურო მხოლოდ მასზე დაყრდნობით ბევრს ვერაფერს გააკეთებს, ვერც ვერაფერს შეამოწმებს და ვერავის მოჰკითხავს.

ვფიქრობთ, საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადებასა და მოწყობაში პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს მეტი დახმარება უნდა გაუწიოს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომმა, რომლის წარმომადგენელმა რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ თ. სტურუამ, ამ კრებას რომ ესწრებოდა, ვერ ურჩია კომუნისტებს მეტი ობიექტურობა და პრინციპულობა გამოეჩინათ. რამდენიმე კომუნისტმა კი კრების შემდეგ თქვა, ლიბერალიზმი იმიტომაც გამოგვივიდა, რომ თვითონაც ჩვენთან მომხდარი ფაქტების თაობაზე სრულყოფილი ინფორმაცია არა გვქონდაო.

ერთი ცნობაც: ყაზბეგის ტურისტული ბაზის პარტორგანიზაციაშიც მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

როცა ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრების დამთავრებისთანავე პარტბიუროს მუშაობის შეფასების ლიბერალიზმზე ჩამოვარდა საუბარი, ერთმა ისიც თქვა, დემოკრატიას უზამთ, ხმის უმრავლესობით ასე გადაწყდაო.

ეს დემოკრატია კი არ არის— უფრო შეთქმულებას წააგავს.

გ. გიორგაძე,
ალ. ზურაშვილი.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის დაბადების 550 წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაული გაიმართა შუა საუკუნეების ამ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და მკურნალის სამშობლოში — ქარელის რაიონში. გასულ კვირას ლამაზი ძამის ხეობის გავლით ძველ სოფელ ორთუბანში, რომელიც ენციკლოპედისტი მეცნიერის სახელთან არის დაკავშირებული, ჩამოვიდნენ მრავალრიცხოვანი სტუმრები. მათ შორის იყვნენ მედიცინის ისტორიკოსები, ქირურგიის, პედიატრიის, ნევროლოგიის, ფარმაკოლოგიის დარგის სპეციალისტები. უკვე დიდი ხანია თანამედროვე მკვლევრები სწავლობენ ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნს — კარაბადინს“— თავის დროზე აღმოსავლეთში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სამკურნალო წიგნს. სამედიცინო კულტურის ამ წერილობით ძეგლებში მოცემული ბევრი რეცეპტი და მკურნალობის მეთოდი დღესაც ყურადსაღებია.

პატივს მიაგებენ დიდ მკურნალს

მაღლობზე აღმართულ ფანასკერტელთა საგვარეულო კოშკს სწავლულის პორტრეტი ამშვენებს. კოშკთან დადგმულია ტრიბუნა, რომელზეც ადგილები დაიკავეს პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა, სტუმრებმა.

ზეიმზე ხელდამშვენებულნი მოვიდნენ რაიონის მშრომელები, რომლებმაც ღირსეულად შეასრულეს ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებანი.

გაიმართა კონცერტი რაიონის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების მონაწილეობით, სპორტული შეჯიბრებანი.

(საქინფორმი)

ტრადიციული, საერთაშორისო...

თბილისის ქალთა საერთაშორისო ტურნირის მორიგი, მეოთხე ტური მაჩიჩ-ლაზარევიჩის სწრაფი ყაიმით აღინიშნა. სამაგიეროდ, ყველა სხვა შემთხვევაში საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა.

ახმილოვსკაია-იოსელიანის ცენტრალურ პარტიაში დიდხანს მანევრული ბრძოლა მიმდინარეობდა. იოსელიანი უკეთ თამაშობდა. თეთრებს ლაზიერის დათმობა მოუხდათ ეტლსა და კუში. პარტია გადაიდო იოსელიანის უპირატესობით. ვერეცი-პეტრონიჩმა, რომელიც უწინარეს ყოვლისა, თავისი პოზიციის უსაფრთხოებაზე ფიქრობს ხოლმე, ზედიზედ მეოთხე პარტია დაასრულა ყაიმით, ამჯერად გათამაშების ლიდერ ლევიტინასთან. ტური დაამშვენა ხუგაშვილ-გარსიას შეხვედრამ. ხუგაშვილმა შესანიშნავად წარმართა იერიში. იგი არ მოერიდა შეწირვებს და ფიგურების შეთანხმებული მოქმედებით ესპანელი მოჭადრაკე გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. გარსიამ წინააღმდეგობა შეწყვიტა. არახამია-კახიანის საინტერესო შეხვედრა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. დასაწყისში თეთრებს პოზიციური უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ კახიანი კარგად იცავდა თავს. შუა თამაშში კახიანმა ხარისხი მოიგო პაიკში და შეხვედრა უკიდურესად გამწვავდა. პარტია გადაიდო. ლაგვილავა დამარცხდა ჰაიკოვასთან, ხოლო ჩელუშკინა-გურიელის შეხვედრა არ გამართულა გურიელის ავადმყოფობის გამო.

4 ტურის შემდეგ ლევიტინას 3,5 ქულა აქვს, იოსელიანს 2,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

გ. გამრეკელი.

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. მსოფლიო პირველობის ევროპის მეორე შესარჩევ ჯგუფში პორტუგალიელებს მორიგი შეხვედრა მოუწიათ მალტელებთან, გაიმარჯვეს პორტუგალიელებმა ანგარიშით 3:2. დღეს ამ ჯგუფში პორტუგალიელები სტუმრად ეთამაშებიან გფრ-ის ნაკრებს, ხოლო ჩეხოსლოვაკიელები მასპინძლობენ შვედებს. გფრ-ის ნაკრებს უკვე უზრუნველყოფილი აქვს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში ასპარეზობის უფლება და ახლა აქ მეორე საგზურის მფლობელის ვინაობის გარკვევას ელიან ფეხბურთის მოყვარულები. დღესვე მოეწყობა მატჩები მესამე და მეექვსე ჯგუფებში. მესამეში რუმინელები მასპინძლობენ ჩრდილოეთირლანდიელებს, ინგლისელები — თურქებს, მეექვსე ჯგუფში სსრ კავშირის ნაკრები მოსკოვში ხვდება ირლანდიის ეროვნულ გუნდს, ნორვეგიელები კი ეთამაშებიან დანიელებს. სსრ კავშირისა და ირლანდიის ფეხბურთელთა მატჩის ტელეტრანსლაცია დაიწყება თბილისის დროით 20 საათზე.

მხატვრული ტანვარჯიში. ესპანეთის ქალაქ ვალიადოლიდში დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ცალკეულ ვარჯიშებში ასე განაწილდა საპრიზო ადგილები: **სახტუნელათი ვარჯიში** — გეორგიევა (ბულგარეთი) — 20,00 ქულა, ლობაჩი (სსრ კავშირი) — 19,90, იგნატოვა (ბულგარეთი) — 19.80. **ბურთით ვარჯიში** — იგნატოვა და გეორგიევა — 19,95-19,95, ბელოგლაზოვა (სსრ კავშირი) და დიტრიხი (გდრ) — 19,90-19,90; **გურზებით ვარჯიში** — იგნატოვა და გეორგიევა — 20.00-20,00, დრუჩინინა (სსრ კავშირი) — 19,90; **ბაბთით ვარჯიში** — ბელოგლაზოვა და პანოვა (ბულგარეთი) — 20,00-20,00, გეორგიევა — 19,95; **ჯგუფური ვარჯიშები** — ბულგარეთი — 39,800 ქულა, სსრ კავშირი და კსდრ — 39,575-39,575 ქულა.

ჭადრაკი. საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში გრძელდება ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა შეჯიბრება, მეორე ტურში იუსუპოვმა დაამარცხა ნოგეირასი. ტალ-სოკოლოვის, სეირავან-სპრაგეტის, ტიმან-ჩერნინის პარტიები ყაიმით დამთავრდა, რიბლი-ბელიავსკის, ვაჰანიან-სმისლოვის, პორტიშ-სპასკის და კორჩნოი-შორტის პარტიები გადაიდო. მესამე ტურში სმისლოვი დაუზავდა ტალს, ჩერნინი — ვაჰანიანს, ბელიავსკი — ტიმანს, ნოგეირასი — სეირავანს, სპასკი — კორჩნოის, პორტიშმა მოუგო სპრაგეტს, შორტმა — რიბლის, სოკოლოვ-იუსუპოვის პარტია გადაიდო. სამი ტურის შემდეგ შორტს 2 ქულა აქვს, იუსუპოვს და პორტიშს — 1,5-1,5.

სასტენდო სროლა. ვილნიუსში დამთავრებულ დინამოელ სპორტსმენთა საკავშირო თასის გათამაშებაზე მრგვალ სტენდზე სროლაში მეორე ადგილი დაიკავა თბილისელმა თამაზ იმნაიშვილმა. მანვე თანაგუნდელებთან გივი შენგელაიასთან და დავით ქავთარაძესთან ერთად გუნდურ ჩათვლაში მოიპოვა გამარჯვება.

ფარიკაობა. სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ წევრთა საკავშირო შეჯიბრებაზე, რომელიც ლვოვში გაიმართა, მოხმალავეთა შორის ოქროს მედალს დაეუფლა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ირაკლი გვარამაძე. მესამე ადგილი წილად ხვდა ამავე ინსტიტუტის კურსდამთავრებულს თეიმურაზ ბოჭორიშვილს.

ყაბახი

მსოფლიო

პირველობა

ჭადრაკში

დაწინაურდა პრეტენდენტი

გუშინ მოსკოვში გაიმართა ანატოლი კარპოვისა და გარი კასპაროვის მატჩის მეთექვსმეტე პარტია, რომელშიც თეთრებით თამაშობდა კარპოვი. გაიმარჯვა გარი კასპაროვმა. ანგარიშია 8,5:7,5 პრეტენდენტის სასარგებლოდ.

ა. გელაშვილი

რესპუბლიკის სამედიცინო საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა — მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქართული მედიცინის თვალსაჩინო მოღვაწე, 1970 წლიდან სკკპ წევრი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ფიზიოლოგიის კათედრის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ავთანდილ პეტრეს ძე გელაშვილი.

ა. გელაშვილი დაიბადა 1927 წელს ხაშურში. 1949 წლიდან, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მან გაიარა გზა ასპირანტიდან კათედრის პროფესორის თანამდებობამდე.

უაღრესად მნიშვნელოვანია პროფესორ ა. გელაშვილის წვლილი ქართული პათოლოგიური ფიზიოლოგიის დარგში. მან 105 სამეცნიერო ნაშრომი დატოვა, დიდი ამაგი დასდო ქართული მედიცინის ისტორიას. მისმა მონოგრაფიებმა, რომლებიც რამდენიმე წიგნად გამოქვეყნდა, თვალსაჩინო როლი შეასრულა მსოფლიო მედიცინის ისტორიაში ეროვნული მედიცინის წვლილის წარმოსაჩენად.

პროფესორი ა. გელაშვილი სამეცნიერო მოღვაწეობას კარგად უხამებდა საზოგადოებრივ საქმიანობასაც. იგი იყო პათოფიზიოლოგთა საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის წევრი, თბილისის მედიკოს-ისტორიკოსთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, სამკურნალო ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი, 1969-1972 წლებში— სამკურნალო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

მეცნიერის, საუცხოო მოქალაქის, კეთილი და გულისხმიერი ამხანაგის ა. გელაშვილის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრებისა და მრავალრიცხოვან მოწაფეთა გულში.

საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტრო; თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი; საქართველოს პათოფიზიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოება; თბილისის მედიკოს-ისტორიკოსთა სამეცნიერო საზოგადოება.

მოსკოვი

16 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ — 9.35 — ბურატინოს გამოფენა. 10.05 — კინორომანი „ქარცეცხლიანი გზები“. „მებრძოლი თურქმენეთი“. I ნაწილი. 11.45 — მოგზაურთა კლუბი. 12.45 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები „შემოწმებულია პრაქტიკით“. 16.35 — „გაზაფხული მთებში“. 17.00 — ახალი ამბები. 17.05 — იური ოლეშას შემოქმედება. 17.50 — სტადიონი ყველასათვის. 18.20 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 19.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 19.15 — „მეცნიერება და ცხოვრება“. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ფეხბურთი. საბჭოთა კავშირის ნაკრები — ირლანდიის ნაკრები. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. 23.45 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 19.15 — დოკუმენტური ტელეფილმები. 9.35 და 10.35 — გეოგრაფია. VII კლასი. 10.05 და 14.00 — გერმანული ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ასტრონომია. 11.35 და 12.40 — ზოგადი ბიოლოგია. IX კლასი. 12.05 — ოჯახი და სკოლა. 13.10 — ბოტანიკა. VI კლასი. 13.30 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ესთეტიკური აღზრდა. 14.30 — მოსწავლეებს ფიზიოლოგიისა და ჰიგიენის შესახებ. 15.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 15.10 — დრამატურგია და თეატრი. 16.10 და 19.00 — ახალი ამბები. 19.30 — სოფლის საათი. 20.30 — „საქონელი, მომსახურება, რეკლამა“. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — საერთაშორისო პანორამა. 22.00 „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ფილმი „ექიმ კალინიკოვას ყოველი დღე“. 00.05 — ახალი ამბები.

თბილისი

16 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.05 — მხატვრული ფილმი „პოლკოვნიკ შალიგინის მოლოდინი“. 11.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფერთა სიმფონია“. 12.20 — საბჭოური ცხოვრების წესი — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოუსვენარი ადამიანები“. 12.45 — მუსიკალური კამერული თეატრი (ბახის ბრანდენბურგის კონცერტი № 2). 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი (სტუდიაშია გ. გიორგაძე). 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — ჩვენს დიად სამშობლოში — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩელეკინი“. 13.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი სათავეები“. 14.25 — მასწავლებლის საათი — ბუნების დაცვა. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ გერმანული ენა (სტუდიაშია ნ. ცინცაძე). 16.45 — თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნუ მიფრინავთ, გედებო!“ 17.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ცხოველთა საიდუმლო სამყარო“. 18.05 — მოსწავლეთათვის. „წყაროსთვალი“. 18.40 — მულტიპლიკაციური ფილმი „ხარი“. 18.50 — განცხადებები. 18.55 — საბჭოური ცხოვრების წესი. „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“. 19.30 — „მოამბე“. 20.00 — შესარჩევი მატჩი ფეხბურთში მსოფლიო პირველობაზე. საბჭოთა კავშირი-ირლანდია. რეპორტაჟი ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონიდან. 21.45 — კინოჟურნალი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ქართული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მშობლიურო ჩემო მიწავ“ („რაიკომის მდივანი“) II სერია. 23.40 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.30 — მხატვრული ფილმი „ზოლიანი რეისი“. 18.00 — მულტიპლიკაციური ფილმი „ერთი თოჯინას ამბავი“. 18.15 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა.

ჩვენს ტელეეკრანებზე

თეატრი

16 ოქტომბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — „ჟიზელი“ (54-ე აბონ. V წარმ.); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ისევ ამქვეყნად დავრჩებით; თბილისის სახელმწიფო დრამატული — ოპტიმისტური ტრაგედია; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიმღერა მაინც დამიტოვეთ; მინიატიურების სახელმწიფო — ნურც გაფრინდებით, ნურც მოფრინდებით; მოზარდ მაყურებელთა ქართული — ჩვენებურები (აბონ. № 76).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უუ 06351 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14